სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია

პროლეტარეთო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 43-ე წელი | № 290 (12498) | ოთხშაბათი, 12 დეკემბერი, 1962 წ. | ფასი 2 კაპ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

10 დეკემბერს კრემლში გაიხსნა სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია. სურათზე: ეროვნებათა საბჭოსა და კავშირის საბჭოს გაერთიანებული სხდომის პრეზიდიუმში.

ფოტო ვ. სობოლევისა და ნ. სიტნიკოვისა (ტასის ფოტოქრონიკა).

გუშინ კრემლში

11 დეკემბერს მუშაობას განაგრძობდა სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია. დილით კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს ცალ-ცალკე სხდომებზე, რომლებიც კრემლის დიდ სასახლეში და კრემლის თეატრის შენობაში მიმდინარეობდა, ხალხის რჩეულნი განიხილავდნენ სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის სახელმწიფო გეგმასა და ჩვენი ქვეყნის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტს, რომლებიც შეტანილია სესიის განსახილველად.

კავშირის საბჭოს სხდომაზე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილის, სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭოს თავმჯდომარის დეპუტატ **ბ. ე. დიმშიცისა** და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრის, დეპუტატ **ვ. თ. გარბუზოვის** მოხსენებების გამო კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ვ. ი. ისაევი** (ლენინგრადი), **შ. კ. კოსპანოვი** (ყაზახეთის სსრ), **გ. მ. დუბინა** (მოსკოვის ოლქი), **გ. ი. ჩოგოვაძე** (საქართველოს სსრ), **ა. კახაროვი** (ტაჯიკეთის სსრ), სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული გაზის მრეწველობის მთავარი სამმართველოს უფროსი **ა. კ. კორტუნოვი**, **პ. ა. კულვეეი** (ლიტვის სსრ), **დ. ხ. რაშკულევი** (მოლდავეთის სსრ), **კ. გ. კარაკეევი** (ყირგიზეთის სსრ), **ა. ტ. ვეიმერი** (ესტონეთის სსრ), **ვ. კ. კლიმენკო** (უკრაინის სსრ), **ვ. მ. კავუნი** (უკრაინის სსრ).

ეროვნებათა საბჭოს სხდომაზე კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: **ლუბოვ ლი** (უზბეკეთის სსრ), **ს. ნ. მალინინი** (ბელორუსიის სსრ), **ა. ი. ჩიქოვანი** (საქართველოს სსრ), **ე. ნ. ალიხანოვი** (აზერბაიჯანის სსრ), **პ. ვ. რუბენი** (ლატვიის სსრ), სსრ კავშირის საზღვაო ფლოტის მინისტრი **ვ. გ. ბაკაევი**, **ე. ტ. ასკატრიანი** (სომხეთის სსრ), **ა. ფ. დიორდიცა** (მოლდავეთის სსრ), საკავშირო პროფსაბჭოს მდივანი **ა. ა. ბულგაკოვი**, **ბ. მამბეტოვი** (ყირგიზეთის სსრ), **ე. გ. ტინურისტი** (ესტონეთის სსრ).

პალატების საღამოს სხდომაზე გრძელდებოდა კამათი. კავშირის საბჭოში გამოვიდნენ დეპუტატები: **ა. დ. დანიალოვი** (დაღისტნის ასსრ), **ა. პ. ბოჩკარიოვი** (სარატოვის ოლქი), **ა. ა. ანალიევი** (თურქმენეთის სსრ), **ა. გ. დმიტრინი** (კომის ასსრ), **ს. ვ. რაზგულაევა** (უზბეკეთის სსრ), **ბ. ნ. დვორეცკი** (ყაზახეთის სსრ), **ბ. ე. შჩერბინა** (ტიუმენის ოლქი).

ეროვნებათა საბჭოში კამათში გამოვიდნენ დეპუტატები: სსრ კავშირის სატრანსპორტო მშენებლობის მინისტრი **ე. ფ. კოფევნიკოვი**, **ლ. ი. დირუინსკაიტე-პილუშენკო** (ლიტვის სსრ), **ა. ა. აბდრაზიაკოვი** (თათრეთის ასსრ), **ი. ი. ხენკინი** (კარელიის ასსრ), სსრ კავშირის უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლების მინისტრი **ვ. პ. ელიუტინი**, **ნ. ა. ბოგდანოვი** (უდმურტეთის ასსრ).

ჩვენი გეგმები გრანდიოზულია

როგორც უკვე ვიუწყებოდით, 10 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიაზე პალატების ცალ-ცალკე სხდომებზე თანამოხსენებები გააკეთეს სახელმწიფო კომისიის თავმჯდომარემ დეპუტატმა **ი. ს. სენინმა** (კავშირის საბჭო), სახელმწიფო და ეკონომიური კომისიების თავმჯდომარეებმა დეპუტატებმა **მ. ა. იასნოვმა** და **ო. ი. ივაშჩენკომ** (ეროვნებათა საბჭო).

კომისიების მოხსენებებში ანალიზი აქვს გაკეთებული სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ზრდას, აღნიშნულია ნაკლოვანებანი სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოთა ორგანიზაციაში, გამოვლენებულია პროდუქციის გამომშვების გადიდებისა და მისი თვითღირებულების შემცირების რეზერვები.

თანამომხსენებლმა აღნიშნეს, რომ კომისიებს შესაძლებლად მიაჩნიათ დაამაყოფილდეს მოკავშირე რესპუბლიკების თხოვნა, რომ გადიდდეს ასიგნებანი ქალაქებისა და მუშათა დიბების კეთილმოწყობასათვის, ადგილობრივი საბჭოების საცხოვრებელი ფონდის, სკოლების, საავადმყოფოების, სბპავშვთა ბაღებისა და ბაგების, კულტურულ-საგანმანათლებლო და სხვა სოციალურ-კულტურულ დაწესებულებათა შენობების კაპიტალური რემონტისათვის და სხვ.

შესწორებებთან, რომლებიც კომისიებმა სახალხო-სამეურნეო გეგმაში შეიტანეს, კათვალისწინებულია შალისა და ამბოშეის ქსოვილების, ტრიკოტაჟის ნაწარმის, ჩაის, მხესემზრისა ზეთის, ყურძნის ღვინის, საყოფაცხოვრებო ელექტროხელსაწყოებისა და სხვა საქონლის წარმოების და მოსახლეობისათვის მიყიდვის დამატებით გადიდება.

კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს კომისიათა თავმჯდომარეებმა წამოაყენეს წინადადება დამტკიცდეს სესიის განსახილველად შემოტანილი ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის ახალი წლის გეგმა და ბიუჯეტი შესაბამისი ცვლილებებითა და დამატებებით.

იწყება კამათი. სიტყვას ამბობს რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რუსეთის სფსრ სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი **კ. მ. გერასიმოვი**. მიმდინარე წლის დიდმნიშვნელოვანი მოვლენები, თქვა მან, იყო სსკპ ცენტრალური კომიტეტის მარტისა და ნოემბრის პლენუმები. პლენუმების გადაწყვეტილებებს, რომელთა მიზანია სოფლის მეურნეობის, მრეწველობისა და მშენებლობის მართვის სისტემის სრულყოფა, უდიდესი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, იმ ისტორიული ამოცანების წარმატებით შესრულებას ხელშეწყობს, რომლებიც პარტიის XXII ყრილობამ დასახა.

ამბ. გერასიმოვმა აღნიშნა, რომ რუსეთის ფედერაციის მშრომელები გადაჭარბებით ასრულებენ როგორც მიმდინარე წლის, ისე შვიდწლედის ოთხი წლის საგეგმო დავალებებს.

1963 წელს დასახულია შემდგომ განვითარდეს მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება. განსაკუთრებით დიდი ყურადღება ექცევა მანქანათმშენებლობის, ქიმიური, ნავთობისა და გაზის მრეწველობის განვითარებას. იზრდება სახალხო მეურნეობის გადამწყვეტ დარგებში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობა.

დეპუტატი შეეხო სახალხო მეურნეობის წამყვანი დარგების ხელმძღვანელობის გაუმჯობესების საკითხებს. ამისათვის, რომ უფრო რაციონალურად გამოიყენოთ საწარმოთა ძირითადი ფონდები, ბუნებრივი რესურსები, განვახორციელოთ უფრო მიზანშეწონილი სპეციალიზაცია, რუსეთის ფედერაციაში წარმოებს სახალხო მეურნეობის საბჭოებს გამსჭვილება: 67 სახალხო მეურნეობის საბჭოს ნაცვლად იქმნება 24 მხარეებსა და ოლქებში იქმნება მრეწველობის ხელმძღვანელობისა და სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობას ორ-ორი დამოუკიდებელი მშრომელთა დეპუტატების საბჭო და მათი აღმასკომები. დამოუკიდებელ რეგიონად გამოიყოფა მშენებლობა. ეწყობა მსხვილი საიჯარო სამშენებლო ორგანიზაციები, იქმნება მშენებლობის რესპუბლიკური საბჭო.

შეეხო რა დაგეგმვის გაუმჯობესებას, ორატორმა წინადადება წამოაყენა, რომ სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი პერსპექტიულ დაგეგმვასთან ერთად უნდა ითვალისწინებდეს აგრეთვე დავალებებს წლების მიხედვით, აკავშირებდეს გეგმებს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების გეგმებთან, რათა უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული კაპიტალური დაბანდებანი.

თავისი სიტყვის დასასრულს ამბ. გერასიმოვმა პირობა დადო, რომ რუსეთის ფედერაციის მშრომელები „ღირსეულ წვლილს შეიტანენ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში.

ტრიბუნაზეა უკრაინის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რესპუბლიკის სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარე დეპუტატი **ა. ა. როზენკო**. უკრაინის მშრომელებმა, განაცხადა მან, მიმდინარე წელს დიდი წარმატებები მოიპოვეს სამეურნეო და კულტურულ მშენებლობაში და მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი გაამავლონ თავიანთი ღონისძიებანი შვიდწლედის მეხუთე წელს. 1963 წლის გეგმას პროექტით რესპუბლიკაში გათვალისწინებულია სამრეწველო წარმოება გაიზარდოს 7,4 პროცენტით. ეს იმას ნიშნავს, რომ გამომავებულ აქნება ასეულ მილიონობით მანეთისაზე მეტი პროდუქცია, ვიდრე დასახულია შვიდწლედის საკონტროლო ციფრებით. უკვე მომავალ წელს ფოლადის, ნაგლინის, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა და სხვა უმნიშვნელოვანეს სახეობათა პროდუქციის წარმოება რესპუბლიკაში გადააჭარბებს შვიდწლედის დამლევისათვის დასახულ დონეს.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის მაისის პლენუმის შემდეგ უკრაინის სს რესპუბლიკამ თითქმის ორჯერ გაადიდა ქიმიური პროდუქციის გამოშვება, მაგრამ რესპუბლიკის ნედლეულის რესურსები საშუალებას იძლევიან ვაწარმოოთ მნიშვნელოვნად მეტი პროდუქცია. სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტმა და სახალხო მეურნეობის საბჭომ ქიმიის სახელმწიფო კომიტეტთან და უკრაინის წარმომადგენლებთან ერთად უნდა შეიმუშაონ კონკრეტული ღონისძიებანი, რათა შემცირდეს კალუგის კომბინატის მშენებლობის ვადები და რაც შეიძლება მალე დაიწყოს შებელინის, სტარო-ბეშევოს კომბინატებისა და სხვა საწარმოთა აგება, რომლებიც გათვალისწინებულია შვიდწლედის გეგმით.

დნეპრის „ჰიდროელექტროსადგურთა ეწერგია თბილისადგურებში გამომუშავებულ ელექტროენერგიაზე სამ-ოთხჯერ უფრო იაფი იქნება. სამი ჰესი — დნეპრის ლენინის სახელობის, კახოვკის და კრემენჩუგისა— უკვე მუშაობს. წარმატებით მიმდინარეობს დნეპროძერჟინსკის ჰესის მშენებლობა, გაიშალა მუშობა კიევის ჰიდროელექტროსადგურის ასაგებად. ამბ. როზენკოს აზრით, კიევის ჰესის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები საკმაოა დაიწყოს უკვე 1963 წელს.

სადგურთა ამ კასკადის აგებით დნეპრი გახდება წყალღრმა მაგისტრალი ბალტიის ზღვიდან შავ ზღვამდე, ეროვორად გადიდდება დნეპრის სანაოსნო ტვირთბრუნვა და 2-3-ჯერ შემცირდება ტვირთზიდვის თვითღირებულება.

ბელორუსი ხალხი დიდი შემოქმედებითი აღმავლობით იბრძვის შვიდწლედის გეგმების განხორციელებისათვის, განაცხადა ბელორუსიის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ტ. ი. კისელიოვმა**. მან აღნიშნა, რომ უკვე ახლა ბელორუსიის სახალხო მეურნეობის საბჭოს თითქმის ყოველმა მეოთხე საწარმომ მიაღწია წარმოების იმ დონეს, რომელიც დაგეგმილია შვიდწლედის დამლევისათვის.

სამრეწველო წარმოების მოცულობა რესპუბლიკაში 1965 წელს ერთიანად და მეტად გადააჭარბებს 1958 წლის დონეს (საკონტროლო ციფრებით გათვალისწინებული იყო გადიდება 1,8-ჯერ.).

ბელორუსიაში დიდი მასშტაბებით წარმოებს კაპიტალური მშენებლობა. შვიდწლედის ოთხი წლის მანძილზე კაპიტალდაბანდებებმა რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ოთხჯერ გადააჭარბა კაპიტალდაბანდებებს მთელი ომამდელი წლების მანძილზე. ამბ. კისელიოვმა თავის გამოსვლაში დიდი ყურადღება დაუთმო ქიმიური მრეწველობის განვითარებას.

ამჟამად, ამბობს ორატორი, ბელორუსიის სამშენებლო ორგანიზაციებს აქვთ მნიშვნელოვნად განმტკიცებული ტექნიკური ბაზა, სამშენებლო სამუშაოთა ორგანიზაციის დიდი გამოცდილება. ეს საშუალებას გვაძლევს სწრაფად და კარგი ხარისხით ვაშენოთ თანამედროვე მსხვილი სამრეწველო საწარმოები, ფართო მასშტაბებით ვაწარმოოთ საბინაო და კულტურულ-საყოფაცხოვრებო მშენებლობა.

რესპუბლიკაში ყოველწლიურად იზრდება საზოგადოებრივი პირუტყვის სულადობა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოება, გაიზარდა საზოგადოებრივი მეურნეობის საქონლიანობა. მარცვლის დამზადება 1962 წელს 55 პროცენტით გადიდდა 1958 წელთან შედარებით, მიუხედავად ამინდის არახელსაყრელი პირობებისა.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დასამტკიცებლად წარმოდგენილი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები, თქვა ტ. ი. კისელიოვმა, ცხადყოფენ საბჭოთა საზოგადოებრივი წყობილების გიგანტურ შესაძლებლობებს, მეურნეობის სოციალისტური სისტემის უდავო უპირატესობებს. მან მხარი დაუჭირა დეპუტატების წინადადებას ამ გეგმების დამტკიცების შესახებ.

უზბეკეთის ეკონომიკის აღმავლობას მიუძღვნა თავისი გამოსვლა უზბეკეთის სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **დეპუტატმა რ. ყურბანოვმა**. რესპუბლიკაში სწრაფად ვითარდება ფერადი მეტალურგია, გაზის მრეწველობა, ქიმია, ენერგეტიკა, მანქანათმშენებლობა. შვიდწლედის მარტო ოთხი წლის განმავლობაში აქ აიგო 250 ახალი მსხვილი სამრეწველო საწარმო და საამქრო.

უზბეკეთის სს რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების მოცულობა და ზრდის ტემპები, რაც გათვალისწინებულია 1963 წლის გეგმის პროექტით, სავსებით შეესაბამება ჩვენს შესაძლებლობებს, ხაზგასმით აღნიშნავს ორატორი.

შრომის საერთო-საკავშირო განაწილებაში უზბეკეთის რესპუბლიკას წამყვანი ადგილი ეკუთვნის ბამბის წარმოებაში. უზბეკეთის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა უკვე მიაღწიეს სახელმწიფოს 2.850 ათასი ტონა ბამბის. მიღებულია ღონისძიებანი, რომ რაც შეიძლება სწრაფად ავიღოთ მთელი მოსავალი უდანაკარგოდ და მივცეთ სახელმწიფოს შარშანდელზე მეტი ბამბა.

ჩვენს პრაქტიკულ მუშაობაში, ამბობს ამბ. ყურბანოვი, განუხრელად ვიხელმძღვანელებთ ამბ. ნ. ს. ხრუშჩოვის მითითებით, რომ ახალი მიწების ათვისებასთან ერთად ვიბრძოლოთ ბამბის მოსავლიანობის მკვეთრი გადიდებისათვის ძველ მიწებზე, რათა უფროსოს წლებში არც ერთი კოლმეურნეობა, არც ერთი საბჭოთა მეურნეობა არ კრეფდეს 25 ცენტნერზე ნაკლებ ბამბას ჰექტარზე.

კამათში გამოვიდნენ აგრეთვე დეპუტატები **მ. ვ. პოსოხინი** (მოსკოვი), **მ. ბეისებაევი** (ყაზახეთის სსრ), **ვ. ი. დროზდენკო** (უკრაინის სსრ).

დეპუტატების გამოსვლებში მოცემული დიდებული სურათი საბჭოთა აღამიანების შემოქმედებითი შრომისა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ხალხის ენერგია, ნება, გამოცდილება ხმარდება იმას, რომ რაც შეიძლება მალე შეასრულოს მთავარი ამოცანა — შექმნას კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. მომავალი 1963 წელი, აბსოლუტურ ხალხის წარგზავნილები, იქნება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის ახალი აღმავლობის წელი, საბჭოთა ადამიანების ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ამაღლების წელი. დეპუტატებს ერთსულოვნად შემოაქვთ წინადადება დამტკიცდეს სსრ კავშირის მთავრობის მიერ წარმოდგენილი სახალხო-სამეურნეო გეგმისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტები სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორივე პალატის კომისიების შესწორებებითა და დამატებებით.

11 დეკემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესია მუშაობას განაგრძობს.

ა. დენისოვიჩი, ვს. კალინსკატოვი, ა. სერგეინი, დ. სმირნოვი, პ. ტიურინი, ზ. ხრომოვა, ე. ფადეიჩევი.

(საკდესის სპეც. კორესპონდენტები).

დეპუტატთა ბრიგადებში

ხელფასი— დანაზოგიდან

თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებლო ქარხანაში შესვენების საათი დაიწყო. ვ. პაპინაშვილის ბრიგადის წევრები ბუკრებილან და ერთი მთგანი ხმამაღლა კითხულობს სესიის მასალებიდან იმ ადგილს, სადაც წერია:

— დაგროვებათა გადიდება და ბიუჯეტის წარმატებით შესრულება ბევრად არის დამოკიდებული წარმოების ხარჯების სისტემატურ შემცირებაზე.

— პარტია ამას ყოველთვის გვეუბნება, — ამბობს კ. ჯიშიაშვილი, — ხომ გახსოვთ 1960 წლის მაისი. ვასო საქვეყნოდ გამოვიდა და თქვა, რომ მისი ბრიგადა მასალების ეკონომიით და წარმოებაში რაციონალიზატორულ წინადადებათა დანერგვით ყოველწლიურად იმდენ თანხას დაზოგავდა, რომ მთლიანად ღაღარაგდა ბრიგადის გამომუშავებას და დამატებით ეკონომიას მისცემდა სამშობლოს. ხომ გახსოვთ, ვასოს ამ წინადადებას ყველამ წინააღმდეგობა გავუწიეთ, არ გვჯეროდა მისი შესრულება. ანა ფაქტის წინაშე ვართ. იმ დღიდან უკვე ორ წელზე მეტი გავიდა და ჩვენი ბრიგადა ყოველწლიურად იმდენ თანხას ზოგავს, რომ ხელფასს საკუთარი დანაზოგიდან ვიღებთ. ამ დიდი შრომითი გამარჯვების გამო ჩვენი ბრიგადის სახელი საქვეყნოდ გახდა ცნობილი. პარტიამ, საბჭოთა ხალხმა ჩვენი შრომა ღირსეულად დააფასეს. ბრიგადირი ვასო პაპინაშვილი არჩეულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატად. ეს მთელი ბრიგადის შრომის დიდი დაფასებაა.

— ჩვენი ვალია, — მიმართა ამხანაგებს კ. ჯიშიაშვილმა, — განვაგრძოთ ეკონომიისათვის ბრძოლა, კვლავ ავამაღლოთ შრომით მოპოვებული სახელი.

ახალი პლანტაცია

მახარაძის რაიონის შრომის კოლმეურნეობის წევრებს ახარებთ და ეამაყებათ, რომ მათი რჩეული — კოლმეურნეობის მეოთხე რგოლის ხელმძღვანელი ტატიანა ჩხაიძე მონაწილეობას იღებს სსრ კავშირის მეექვსე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის მუშაობაში. რგოლმა, რომლის ხელმძღვანელია ტატიანა ჩხაიძე, შვიდწლედის მეოთხე წელი სასახელოდ დაამთავრა, მოკრიფა და სახელმწიფოს მიჰყიდა 42 ტონა ჩაის ფოთოლი და ამით წლიურ გეგმას 12 ტონით გადაჭარბა. პირადად ტატიანა ჩხაიძე მთელ რესპუბლიკაში გაითქვა სახელი, 0,8 ჰექტარზე მიიღო 13 ტონა „მწვანე ოქრო“. ეს სარეკორდო მოსავალია.

ახლა ზამთარია, მაგრამ კოლმეურნეობის სხვა რგოლების წევრებთან ერთად ტ. ჩხაიძის რგოლის წევრები ჩაის ახალ პლანტაციებში ბეგითად მუშაობენ. მწკრივთაშორის აწარმოებენ ნიადაგის გადამარგვას ფოსფორიანი და კალიუმის სასუქის შეტანით, წესრიგში მოაყენეს სადრენაჟო ქსელი.

— 0,5 ჰექტარი ახალი პლანტაცია! — ეს წარმატება გუშინ რგოლის წევრებმა უპატაკეს კოლმეურნეობას.

მამაკანის ჰესი

სრული სიმძლავრით მუშაობს

ჩრდილოეთში, მარადი გაყინულობის რაიონში, ვადამდე ამუშავდა სრული სიმძლავრით მამაკანის ჰესი. სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მხურვალედ მიულოცეს მშენებლებსა და მემონტაჟეებს ეს შესანიშნავი შრომითი გამარჯვება.

ეს პირველი მძლავრი ჰესია მდინარე ლენის აუზში. მამაკანის ჰიდროელექტროსადგური იაფი ელექტროენერგიით უზრუნველყოფს აღმოსავლეთ ციმბირის სამთო მოპოებითი მრეწველობის საწარმოებს და ქმნის მათი შემდგომი განვითარების პირობებს.

— მამაკანის ჰესის აგების დამთავრება, — ნათქვამია სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და საბჭოთა მთავრობის მისალმებაში, — მშენებელთა ღირსეული წვლილია იმ საქმეში, რომ განხორციელდეს დიდი ლენინის ანდერძი ჩვენი ქვეყნის ელექტრიფიკაციის შესახებ, რაც შემოქმედებითად განვითარებულია სკკპ XXII ყრილობის გადაწყვეტილებებში.

მამაკანის ჰესი აშენდა და სრული სიმძლავრით ამუშავდა ვადაზე ხუთი თვით ადრე. ამ ელექტროსადგურის აგება ხორციელდება მკაცრ კლიმატურ პირობებში. საბჭოთა ენერგეტიკოსებმა ჰიდრომშენებლობის პრაქტიკაში პირველად შექმნეს ჰიდროკვანძი მარადი გაყინულობის რაიონში. მშენებლებმა გამოიყენეს მუშაობის მოწინავე ინდუსტრიული მეთოდები და შეასრულეს 1.300 ათასი კუბური მეტრი მიწის სამუშაო, ჩასხეს 270 ათასი კუბური მეტრი ბეტონი და რკინაბეტონი, დაამონტაჟეს დაახლოებით 4.000 ტონა ჰიდრომექანიკური მოწყობილობა და ლითონკონსტრუქციები. (საკდესი).

მოსკოვს ჩამოვიდა კუბის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია

მოსკოვი, 10 დეკემბერი. (საკდესი). ღღეს მოსკოვს ჩამოვიდა კუბის რესპუბლიკის მთავრობის სავაჭრო დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს კუბის რესპუბლიკის გაერთიანებული რევოლუციური ორგანიზაციების ეროვნული ხელმძღვანელობის წევრი, აგრარული რეფორმის ეროვნული ინსტიტუტის პრეზიდენტი კარლოს რაფაელ როდრიგესი.

დელეგაციის მეთაურმა ბელორუსიის ვოგზალში განუცხადა პრესის წარმომადგენლებს:

— ჩვენი სავაჭრო ეკონომიური დელეგაციის ჩამოსვლა მოსკოვში ახალ ნაბიჯს მოასწავებს კუბის რესპუბლიკასა და საბჭოთა კავშირის, სსრ კავშირის მთავრობისა და კუბის მთავრობის ძმური ურთიერთობის განვითარებაში.

გუნთიადი სტუმართმოყვარეობა, რაც გაგვიწიეს დელეგაციის შეხვედრისას ამხანაგებმა ა. ი. მიკოიანმა, ნ. ს. პატოლიჩევმა, საბჭოთა ხალხის სხვა წარმომადგენლებმა, მოწმობს საბჭოთა კავშირკუბის ურღვევ მეგობრობას.

სულითა და გულით გადავცემ კუბელი ხალხისა და მისი რევოლუციური მთავრობის მხურვალე ძმურ სალამს საბჭოთა კავშირის ხალხებს, საბჭოთა მთავრობას, მთავრობის მეთაურს ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვს.

ა. ნოვოტნიმ მიიღო საგჯოთა სტუმრები

პრაღა, 11 დეკემბერი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ა. ნოვოტნიმ გუშინ მიიღო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სსკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XII ყრილობის მუშაობაში.

ჯალათებს პასუხისმგებლობის ეშინიათ

პარიზი, 11 დეკემბერი. (საკდესი). დასავლეთ ევროპის კონფერენციამ, რომელიც მოითხოვს ესპანეთის პოლიტიკურ პატიმართა ამნისტიას, საფრანგეთის იურიდიულ ინსტიტუტთა და ინდივიდუალურ თავისუფლებათა დაცვის ასოციაციამ თავისი წარმომადგენლები გაგზავნეს მადრიდში ესპანეთის კომპარტიის ხელმძღვანელობის წევრ ხულიან გრიმაუსთან შესახვედრად. როგორც ცნობილია, გრიმაუს ჯანმრთელობა გადატანილი წამების შემდეგ სერიოზულ საფრთხეშია. მაგრამ მიუხედავად ამისა, რომ ამ ორგანიზაციათა წარმომადგენლები ძალიან ცდილობდნენ შეხვედროდნენ გრიმაუს, ესპანეთის ხელისუფლებამ კატეგორიული უარით გამოსტუმრეს ისინი.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიაში

გაიმართა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს საბიუჯეტო კომისიის სხდომა დეპუტატ ვ. ი. მელქაძის თავმჯდომარეობით.

კომისიამ მოისმინა საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის დეპუტატ ო. დ. გოცირიძის და ფინანსთა მინისტრის დეპუტატ ბ. ა. ჩხეიძის ინფორმაციები რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების 1963 წლის გეგმის პროექტისა, საქართველოს სსრ 1961 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებისა და 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის შესახებ.

ხსენებული საკითხების განხილვაში მონაწილეობა მიიღეს სამინისტროებისა და ცენტრალური უწყებების წარმომადგენლებმა, აგრეთვე აფხაზეთის ასსრ, აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოების, სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის აღმასრულებელი კომიტეტის, მშრომელთა დეპუტატების საქალაქო და რაიონული საბჭოების წარმომადგენლებმა.

საბიუჯეტო კომისიის წევრთა შემადგენლობიდან გამოყოფილია ქვეკომისიები სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმებისა და სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტების გარშემო წინადადებათა შესაძუშავებლად.

გულითადი გაცილება

პრაღა, 11 დეკემბერი. (საკდესი). დღეს პრაღიდან მოსკოვს გაემგზავრა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ლ. ი. ბრეჟნევის მეთაურობით, რომელიც მონაწილეობდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის XII ყრილობის მუშაობაში.

საუბარს, რომელმაც გულთბილ ატმოსფეროში ჩაიარა, დაესწრნენ ი. გენდრიხი და ა. იუბჩეკი.

დედაქალაქის მთავარ ვოგზალში დელეგაცია გულთბილად გააცილეს — ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის პრეზიდენტმა ანტონინ ნოვოტნიმ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, მთავრობის თავმჯდომარემ ვილიამ შროკიმ, ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, ეროვნული კრების თავმჯდომარემ ზდენეკ ფირლინგერმა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის სხვა ხელმძღვანელმა პარტიულმა, სახელმწიფო და საზოგადო მოღვაწეებმა.

ჩინეთის მესაზღვრეთა რაზმების გაყვანა

პეკინი, 10 დეკემბერი. (საკდესი). ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის გადაწყვეტილების შესაბამისად, ინდოეთის საზღვარზე, ტიბეტის რაიონში გრძელდება ჩინელ მესაზღვრეთა რაზმების გაყვანა, რაც 1 დეკემბერს დაიწყო. როგორც სინხუას საგენტო იუწყება, ჩინელ მესაზღვრეთა რაზმებმა 9 დეკემბერს დატოვეს პენჩანგი, სალანგი, ქამუ და სხვა პუნქტები საზღვრის აღმოსავლეთ ნაწილში.



წლიური გეგმის გადაჭარბებით

საქართველოს სახალხო მეურნეობის საბჭოს 86 სამრეწველო საწარმომ შეასრულა წლიური დავალებანი და ზეგეგმით პროდუქციას იძლევა. ზეგეგმითი პროდუქციის გამოშვება ერთ-ერთმა პირველმა დაიწყეს თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატის, რუსთავის მინერალური სასუქის ქარხნის, ჭიათურის მარგანეცის ტრესტის კალინინის სახელობის მაღაროთასამართველოს, ხრამჰესის, ანასეულის ჩაის ფაბრიკის, საქართველოს შახტების მშენებლობის ტრესტის, ქუთაისის საკონსერვო ქარხნის კოლექტივებმა.

გადაჭარბებით შესრულდა აგრეთვე შრომის ნაყოფიერების ზრდისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირების დავალებანი.

მიმდინარე წლის დამლევამდე დამატებით იქნება გამოშვებული დიდძალი მანგანუმი, ქვანახშირი, მინერალური სასუქი, ქსოვილები, კონსერვები და სხვა სახეობათა პროდუქცია.

ფლამი თუ „ფაკი ოქრო?“

სრულყოფთ მარგანეცის გამდიდრების ტექნოლოგიას

მუშაობლიური კომუნისტური პარტიის XXII ყრილობამ და ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმმა დასახეს კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, მეტალურგიული მრეწველობის შემდგომი აღმავლობის, წარმოების მექანიზაციისა-ავტომატიზაციის ახალი ამოცანები.

მაღალხარისხოვანი ფოლადების წარმოება და ქიმიური მრეწველობა მეტ და პირველხარისხოვან მარგანეცს მოითხოვს. ამისათვის აუცილებელია გონიერულად, რაციონალურად გამოიყენონთ მარგანეცის საბადოს რესურსები, გაეუმჯობესოთ და სრულყოფთ მადნის გამდიდრების ტექნოლოგია.

რაციონალურად გამოყენება ნიშნავს ბიწის წიაღიდან უდანაკარგოდ ამოვეღოთ და უდანაკარგოთვე გავამდიდროთ ბუნებისაგან მოცემული სიმდიდრე.

პირველად ჭიათურაში აშენდა და წელს ამუშავდა ღარიბი მადნების გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელიც დაბალი ხარისხის მადნის გადამუშავებით დამატებით გვაძლევს კონცენტრატს. აქვე მალე ამუშავდება მადნის ფლოტაციური გამდიდრების საამქრო, რომიც გაიზრდება მაღალხარისხოვანი მარგანეცის გამოშვება.

მსოფლიოში ბაღალი არ მოპოვება პერკუსიულების გამამდიდრებელი ფაბრიკის პროდუქციას. აქ საფუძველი ჩაეყარა ტექნოლოგიური პროცესების ავტომატიზაციას. მალე მთელი ტექნოლოგიური ციკლი ავტომატიზებული იქნება. მადნის გამამდიდრებელ ფაბრიკებში აითვისეს მეთოდითაც. ამის დასანერგავად აუცილებელი ია ნახევრადსაწარმოო ქიმიური გამდიდრების პროექტი, რომელსაც ამზადებს კრეგოო როგის ინსტიტუტი „მეხანობრჩერმეტი“. შლამების ქიმიური გამდიდრება დიდი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საქმეა. იგი ჩვენი ქვეყნის მარგანეცის ბალანსს ყოველწლიურად შემატებს მრავალ ათას ტონა მარგანეცს. ამიტომ ეს საქმე დაჩქარებას მოითხოვს.

მეტად მნიშვნელოვანი საკითხია მადნის აგლომერაცია ან დაგუნდავება. ამ პრობლემების გადასაწყვეტად მუშაობენ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტი და კრეგოო როგის ინსტიტუტი, რომლებმაც წელს უნდა მოგვცენ რეკომენდაციები საპროექტო სამუშაოების დასაწყებად.

მარგანეცის მადნების გამდიდრების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისა და მისი მექანიზაცია-ავტომატიზაციისათვის დიდი ამოცანებია დასახული სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების წინაშე.

მარგანეცის ჭიათურელი გამამდიდრებლები სრულყოფთ ტექნოლოგიურ პროცესებს, ეიბრძოლებთ ნოემბრის პლენუმის ისტორიული გადაწყვეტილებების განხორციელებისათვის.

შ. ახვლედიანი.

ჭიათურის მარგანეტრესტის მმართველის მოადგილე მადნის გამდიდრების დარგში, საქართველოს სსრ დამსახურებული ინჟინერი.

ამჟამად პარტიის სოხუმის საქალაქო კომიტეტთან არსებულ მარქსიზმ-ლენინიზმის ორწლიან სალამოს უნივერსიტეტში [illegible] მეცადინეობს. მსმენელები სწავლობენ პოლიტეკონომიას, საკავშირო კომუნისტური პარტიის ისტორიას, კონკრეტულ ეკონომიკას და სხვა დისციპლინებს. ამ დღეებში ისინი შეუდგნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის მასალების გულდასმით შესწავლას.

სურათზე: კომუნისტები გ. პაპაშვილი და გ. ფარცხალაძე [illegible] ლების კაბინეტში ემზადებიან მორიგ [illegible]

ფოტო ი. ჭოხონელიძისა. (სამოქალაქო [illegible])

„საქარხნო პარლამენტებში“ — რჩეულნი

ტერმინი „საწარმოო კომიტეტი“ ამ სამი კვირის წინათ — სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მუშაობის დღეებში დაიბადა. მაგრამ წარმოების მართვაში მუშა-მოსამსახურეთა ფართო მასების მიზიდვის ამ ახალმა ფორმამ მოკლე ხნის მანძილზე საყოველთაო მოწონება და მხარდაჭერა ჰპოვა. უფრო მეტიც. ასეთი კომიტეტები უკვე ბევრ საწარმოში შეიქმნა და იქმნება. „საქარხნო პარლამენტებში“ ასარჩევი კანდიდატების ძებნა არსად არ უხდებათ, რადგან ყველა ფაბრიკასა და ქარხანაში, თვითეულ უბანზე, ყოველ სამაქროში ბლომად არიან აქტივისტები, ნოვატორები, წარმოების ნამდვილი შტაბრები.

— საწარმოო კომიტეტების შექმნის იდეა სასარგებლო და საჭიროა, — თქვა ჩვენი გაზეთის თანამშრომელთან საუბარში თბილისის 26 კომისრის სახელობის ქარხნის დირექტორმა ი. ჟორჟოლიანმა, — იგი თვით ცხოვრებისა არის ნაკარნახევი. არის მთელი რიგი ისეთი საკითხები, რომელთა გადაწყვეტის დროს წარმოების ხელმძღვანელ კოლექტივის დახმარებას საჭიროებს.

* * *

შედგა თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის ელმავალსამშენებელი ქარხნის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა საერთო კრება, რომელიც საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ბაკურაძემ გახსნა.

კრებამ მოისმინა ქარხნის პარტკომის მდივნის კ. გურულის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესახებ.

კრებაზე აირჩიეს ქარხნის საწარმოო კომიტეტი 35 კაცის შემადგენლობით. თავის პირველ სხდომაზე კომიტეტმა თავმჯდომარედ აირჩია ქარხნის დირექტორი ი. ზერეკიძე, ხოლო მის მოადგილედ — სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი გ. პაპინაშვილი და ქარხნის მთავარი ტექნოლოგი შ. დოლიძე.

საწარმოო კომიტეტის წევრებს მაძს უფლება-მოვალეობანი ესაუბრა პარტიის თბილისის ორგანიზაციის ლენინის რაიკომის პირველი მდივანი შ. დოლიძე.

ქარხნის საწარმოო კომიტეტმა გადაწყვიტა თავის შემდგომ სხდომაზე განიხილოს ახალი, 1963 წლის საწარმოო გეგმის შესრულებასთან დაკავშირებული ორგანიზაციულ-ტექნიკური ღონისძიებანი.

ფოლადის სახეხი ჩარხების ქარხნის საწარმოო კომიტეტის შემადგენლობაში აირჩიეს 15 კაცი — მუშები, ინჟინერები, მოსამსახურეები. „კოლექტიური მრჩეველი“ უკვე შეიქრიბა თავის პირველ სხდომაზე, რომელსაც ქარხნის მოაღილი ინჟინერი გ. ბოისწრაფიშვილი თავმჯდომარეობდა.

სხდომას 1962 წლის გეგმის შესრულების მიმდინარეობისა და ახალი წლის პერსპექტივებზე მოუთხრო ქარხნის საგეგმო-საწარმოო განყოფილების უფროსმა ა. ახალბედაშვილმა. **(საკ. კორ.).**

ეკონომიკა და პოლიტიკა

პროპაგანდისტთა დასახმარებლად

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მიმდინარე წლის ნოემბრის პლენუმი განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს ჩვენი პარტიისა და მთელი საბჭოთა ხალხის ცხოვრებაში. პლენუმ მ ა განიხილა ეკონომიკის განვითარებისა და სახალხო მეურნეობის პარტიულ ი ხელმძღვანელობის გარდაქმნის უმნიშვნელოვანესი საკითხები.

ნ. ს. ხრუშჩოვის მოხსენება, პლენუმის მასალები და გადაწყვეტილებანი წარმოადგენენ ეკონომიკისა და პოლიტიკის, მათი თანაფარდობის შესახებ მარქსისტულ-ლენინური თეორიის ახალ პიროობებში შემოქმედებითად გამოყენებისა და შემდგომი განვითარების შესანიშნავ ნიმუშს.

წინამდებარე სტატიაში ჩვენ გვინდა განვიხილოთ მარქსისტულ-ლენინური შეხედულება ეკონომიკისა და პოლიტიკის თანაფარდობის შესახებ სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილებათა შუქზე.

* * *

მარქსიზმ-ლენინიზმი ვასწავლის, რომ ეკონომიკა და პოლიტიკა განუყრელი არიან, ისინი ერთად არსებობენ და ერთმანეთთან ორგანულ კავშირში იმყოფებიან.

მაგრამ როგორია მათი ურთიერთობა?

ეკონომიკა საზოგადოების ბაზისია, პოლიტიკა — მისი ზედნაშენი, ე. ი. ეკონომიკა საზოგადოების მატერიალური ცხოვრების პირობების განმსაზღვრელია. ეკონომიკა პოლიტიკის მუდმივი საფუძველია, იგი საბოლოო ანგარიშით განსაზღვრავს პოლიტიკის არსს. მაგრამ, ცხადია, ეს იმას როდი ნიშნავს, რომ პოლიტიკა პასიურია ეკონომიკის მიმართ. პოლიტიკა უკუ გავლენას, აქტიურ ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე.

„პოლიტიკა, — როგორც ვ. ი. ლენინი მიგვითითებდა, — ეკონომიკის კონცენტრირებული გამოხატულებაა“. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიტიკა ასახავს საზოგადოების ეკონომიური განვითარების მოთხოვნებს, ხალხის მასების ეკონომიურ ინტერესებსა და საჭიროებებს, ემსახურება საზოგადოების პროგრესულ განვითარებას.

საერთოდ პოლიტიკა ზემოქმედებას ახდენს ეკონომიკაზე, მაგრამ მთელი საქმე ის არის, როგორია პოლიტიკა. თუ რამდენად სწორია იგი, ე. ი. რამდენად სწორად ასახავს განვითარების ობიექტურ კანონზომიერებას, საზოგადოებრივი პროგრესის ტენდენციას, ამაზეა დამოკიდებული საწარმოო ძალების გამოყენების ეფექტურობა.

ეკონომიკისა და პოლიტიკის ეს ურთიერთობა, პოლიტიკის ეკონომიკაზე გავლენის ხასიათი ამომწურავად განსაზღვრეს კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. ფ. ენგელსი შნიდტისათვის მიწერილ წერილში ასე გადმოსცემს მარქსისტულ შეხედულებას ამ საკითხზე:

„სახელმწიფო ძალაუფლების უკუზემოქმედება ეკონომიურ განვითარებაზე შეიძლება იყოს სამგვარი: ის შეიძლება იმავე მიმართულებით მოქმედებდეს, მაშინ საქმე უფრო სწრაფად მიდის; ის შეიძლება ეკონომიური განვითარების საწინააღმდეგად მოქმედებდეს, მაშინ დღესდღეობით ყოველ დიდ ხალხში ის მარცხს განიცდის გარკვეული დროის განმავლობაში; ან მას შეუძლია ეკონომიურ განვითარებას გადაუბრას გარკვეული მიმართულება და სხვა მიმართულება მოახვიოს თავზე. ეს შემთხვევა საბოლოოდ ზემოაღნიშნულ იმ ორი შემთხვევიდან ერთ-ერთ შემთხვევაზე დაიყვანება. მაგრამ, ცხადია, რომ მეორე და მესამე შემთხვევაში პოლიტიკურ ძალაუფლებას შეუძლია დიდი ზიანი მიაყენოს ეკონომიურ განვითარებას და შეუძლია გამოიწვიოს ძალთა და საშუალებათა მასობრივი გაფლანგვა“.

ამ მარქსისტულ დებულებაში გამოსახული კანონი კიდევ უფრო მეტის ძალით მოქმედებს ჩვენს ქვეყანაში, სადაც სახალხო მეურნეობა ვითარდება არა სტიქიურად, ანარქიულად, არამედ გეგმაზომიერად, შეგნებულად, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელი და წარმმართველი როლის პირობებში.

კომუნისტური პარტიის პოლიტიკაში, როგორიც ფოკუსში, გამოსახულია კომუნიზმის ეკონომიკის, მისი მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ინტერესები და საჭიროებები, მთელი ხალხის ინტერესები, მისწრაფებები და ამოცანები. კომუნისტური პარტიის პოლიტიკას საფუძვლად უდევს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების პრინციპები, რომლებიც საშუალებას იძლევიან სწორად შეეცნოთ და გავიგოთ ობიექტური განვითარების პროცესები, დაინახოთ განვითარების ტენდენციები და მომწიფებული მოთხოვნები, ავწონ-დაკვწონოთ მატერიალური საშუალებები და შესაძლებლობები, განვსჯიროთ პერსპექტივა და ყოველივე ამის საფუძველზე დავსახოთ საკუთარი რეალური ამოცანები.

სწორედ ამ პირობების დაცვით არის შემუშავებული ჩვენი პარტიის ახალი პროგრამა და ამიტომ არის, რომ მასში მათემატიკური სიზუსტით განსაზღვრული კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მასშტაბები და დონე, მისი შექმნის ეტაპები და ისტორიული ვადები.

ჩვენი პარტიის პოლიტიკა, სწორად ასახავს რა ობიექტური განვითარების ტენდენციებს, მოქმედებს რა ეკონომიური განვითარების მიმართულებით და სრულად გამოხატავს ხალხის მასების ინტერესებსა და მოთხოვნებს, დიდად უფლებას ხელს და აჩქარებს ეკონომიურ განვითარებას.

პოლიტიკის მთავარი დანიშნულება, მისი სამსახურებრივი როლი საბჭოთა ხელისუფლების პირობებში სწორედ ის არის, რომ ხელი შეუწყოს ახალი, სოციალისტური ეკონომიკის შექმნასა და განვითარებას, სახალხო მეურნეობის მართვის სისტემატურ გაუმჯობესებას, საწარმოო ძალებისა და ყველა სახის რესურსების ეფექტურად გამოყენებას ხალხის ინტერესებისათვის.

პოლიტიკა თვითმიზანი როდია. იგი საშუალებაა, უძლიერესი ბერკეტია პარტიისა და სოციალისტური სახელმწიფოს ხელში სოციალიზმისა და კომუნიზმის ეკონომიკის შექმნაში.

ვ. ი. ლენინი სპეციალურად შეეხო ეკონომიკისა და პოლიტიკის ურთიერთობის საკითხს და გენიალურად განსაზღვრა მათი ადგილი საბჭოთა სოციალისტურ სახელმწიფოში.

„სახელმწიფოს მართვის ამოცანა, — ამბობდა ვ. ი. ლენინი, — რომელიც ახლა პირველ პლანზე დადგა საბჭოთა ხელისუფლების წინაშე, წარმოადგენს კიდევ იმ თავისებურებას, რომ ახლა საქმე ეხება — და, შეიძლება ითქვას, პირველად ცივილიზებულ ხალხთა უახლეს ისტორიაში — ისეთი მართვას, როცა უბარატესი მნიშვნელობა ენიჭება არა პოლიტიკას, არამედ ეკონომიკას“.

რას ნიშნავს დებულება „უპირატესი მნიშვნელობა ენიჭება არა პოლიტიკას, არამედ ეკონომიკას?“

რით არის განპირობებული ასეთი მდგომარეობა?

ეს განპირობებულია იმ სპეციფიკური კანონზომიერებით, რომლის მახედვითაც ხდება ახალი, სოციალისტური საზოგადოების შექმნა და დამკვიდრება.

ცნობილია, რომ კაპიტალიზმი ისახება ფეოდალიზმში. იქ იქმნება ბურჟუაზიული წარმოებითი ურთიერთობა და პოლიტიკური რევოლუციის შედეგად, ბურჟუაზიის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების ხელში აღებით მთავრდება ბურჟუაზიული საზოგადოების შექმნა.

სოციალიზმი არ შეიძლება განვითარდეს, წარმოიშვას კაპიტალიზმში. კაპიტალიზმის წიაღში მწიფდება და იქმნება სოციალიზმის მხოლოდ ზოგიერთი წინაპირობები. თვითონ სოციალისტური ურთიერთობა, სოციალისტური ეკონომიკა შეიძლება შეიქმნას პროლეტარიატის მიერ სახელმწიფო ძალაუფლების დაპყრობის შემდეგ.

მაშასადამე, პირველ შემთხვევაში ჯერ იქმნება ეკონომიური ურთიერთობა და მერე პოლიტიკური წყობილება; მეორე შემთხვევაში პირიქით — ჯერ იქმნება პოლიტიკური, ანუ სახელმწიფო წყობილება, ხოლო შემდეგ ეკონომიური წყობილება.

აი რატომ არის, რომ როცა იქმნება სოციალისტური სახელმწიფო და მისი მართვის საკითხი დგება, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს უამრავ დონისძიებათა მთელ სისტემაში მთავარ, უპირატეს ადგილს იჭერს სოციალისტური ეკონომიკის შექმნა, საერთოდ ეკონომიური განვითარების საკითხი.

არსად, არასოდეს, არც ერთ ფორმაციაში სახელმწიფოს არ ჰქონია, არა აქვს და არც შეიძლება ჰქონდეს ის ეკონომიური როლი, რაც სოციალისტურ სახელმწიფოს აქვს. ამიტომაც ვ. ი. ლენინი მთელი კატეგორიულობით მოითხოვდა, რომ „ჩვენი მთავარი პოლეტიკა ამჟამად უნდა იყოს — სახელმწიფოს ეკონომიური შშენებლობა“.

ნ. ს. ხრუშჩოვმა თავის მოხსენებაში ნოემბრის პლენუმზე სწორედ ამტომ მოიყვანა ვ. ი. ლენინის დებულება, რათა ხაზი გაესვა ეკონომიკის გადამწყვეტი მნიშვნელობისათვის კომუნიზმის მშენებლობის საქმეში და ეჩვენებინა სახალხო მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის გარდაქმნის აუცილებლობა ახლანდელ ვითარებაში. ამჟამად იმდენად გაიზარდა ჩვენი ქვეყნის საწარმოო ძალები, გაფართოვდა წარმოების მასშტაბები და ამაღლდა მისი ტექნიკური დონე, რომ ეკონომიკის ამ ახალ თვისებრივ მდგომარეობას აღარ შეესაბამება მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის აქამდე არსებული ორგანიზაციული ფორმები.

ეკონომიკა და პოლიტიკა მუდამ შესაბამისობაში უნდა იყონ, ეკონომიური განვითარების ახალი ამოცანები მოითხოვენ მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის ახალ, უფრო სრულყოფილ ფორმებს და ეს უნდა უზრუნველყოს პოლიტიკამ.

როგორც ეკონომიკისაგან განუყრელია პოლიტიკა, ასევე პოლიტიკისაგან განუყრელია პარტიის ორგანიზაციული პრინციპები და ფორმები.

ვ. ი. ლენინმა ნათლად და გარკვევით დაახასიათა ეს ურთიერთობა. „უსუტად ხომ ვერ განსაზღვრავ, — ამბობდა იგი, — რომელია პოლიტიკური საკითხი და რომელი ორგანიზაციული. ყოველი პოლიტიკური საკითხი შეიძლება იყოს ორგანიზაციული და პირიქით.

...ორგანიზაციული საკითხების გამიჯვნა პოლიტიკისაგან შეუძლებელია. პოლიტიკა — ეს არის კონცენტრირებული ეკონომიკა“.

პარტიის პოლიტიკა ემსახურება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნას. ამ მიმართულებით პოლიტიკის გენერალური ხაზი შემუშავებულია დ. ეკონომიკა და პოლიტიკა ერთ-ერთ ძირითადი ამოცანაა. ეს ნიშნავს ყოველ პატარა და დიდ სამეურნეო საქმეში შეხედო განვითარების პერსპექტივით, კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების სიმაღლიდან. ეს აუცილებელია, რათა მეურნეობისადმი ხელმძღვანელობა არ გადაიქცეს საქმოსნობად, ვიწრო პრაქტიციზმად, გასაქანი არ მიეცეს კუთხურობის ინტერესებით გატაცებას.

მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ერთ-ერთი განუყრელი ნიშანია ხელმძღვანელობის კონკრეტულობა და ოპერატიულობა. მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ორგანიზაციის ახალი ფორმები ფართო გასაქანს აძლევს ინიციატივასა და თვისებას, საშუალებას იძლევა უხელმძღვანელო კონკრეტულად, ოპერატიულად, დროზე დანერგო სიახლენი წარმოებაში, განაზოგადო და გაავრცელო მოწინავე გამოცდილება.

მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის წარმატების განუყრელი, სავალდებულო პირობაა საქმის შესრულების ფაქტიური შემოწმება, სწორედ ამიტომ იყო, რომ ნოემბრის პლენუმმა, გარდაქმნა რა მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმები, ამავე დროს განიხილა და გადაწყვიტა კონტროლის გაუმჯობესების საკითხი — შექმნა ერთიანი პარტიულ-სახელმწიფო კონტროლი, რომელმაც დიდი როლი უნდა შეასრულოს პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების მუშაობის გაუმჯობესებაში.

ნოემბრის პლენუმმა მეურნეობისადმი ხელმძღვანელობის გაუმჯობესების ბევრი სხვა საკითხიც გადაწყვიტა. შემუშავებულ იქნა ღონისძიებანი, რომლებიც უზრუნველყოფენ ერთიანი ტექნიკური პოლიტიკის განხორციელებას. ამ მიზნით ცენტრალიზებული იქნება სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების ხელმძღვანელობა. სახმშენი გამოეყო სახალხო მეურნეობის საბჭოებს და მიენიჭა დამოუკიდებლობა. დიდი მნიშვნელობის ღონისძიებაა ფაბრიკებსა, ქარხნებში და მშენებლობებზე მუშათა არჩევითი კომიტეტების შექმნა სათათბირო ორგანოს უფლებით. დაგეგმვის ახალმა, უკეთესმა ორგანიზაციამ უნდა უზრუნველყოს წარმოებისა და მშენებლობის რაციონალური განლაგება და სწორფი განვითარება.

საკმარისია წარმოდგენო ნოემბრის პლენუმზე განხილულ და გადაწყვეტილ საკითხთა მთელი კომპლექსი, დასახულ ღონისძიებათა ხასიათი, რომ ნათელი გახდეს ჩვენი პარტიის მუშაობის სიდიადე, დაინახო, თუ რა სიბრძნით ახასიათებს პარტია ერთმანეთთან ეკონომიკისა და პოლიტიკის უდიდეს საკითხებს, რა მეცნიერული სიღრმითა და სიზუსტით წყვეტს მათ და ყოველივე ამით აჩქარებს კომუნიზმის დიდი შენობის აგებას ჩვენს ქვეყანაში.

პროფესორი

ვ. ესაიაშვილი.

ფოლიო

სინდისიც კარგი საქონელია

ამ გაზაფხულზე, სოფელ ჩანადირებში, რომელიც ახლა ბაზალეთის კოლმეურნეობაში შედის, მთებიდან ერთი კაცი ჩამოვიდა. თავი მოისწყლა, მომწყინდა მუდამ მთაში ყოფნა, დამეხმარეთ როგორმე თქვენთან, ბარში ვიცხოვროო, — ამბობდა იგი.

სოფელი დაეხმარა ალექსი მთიულიშვილს. ახლა მას ჩანადირებში მშვენიერი სახლი აქვს, ხოლო საკარმიდამო ნაკვეთში — ახალი ბაღი. ადრე ალექსი ცხვარში დადიოდა და კარგი მეცხვარის სახელი ჰქონდა. სწორედ ეს უხაროდათ კოლმეურნეებს — მცოდნე კაცი მხარში ამოგვიდგებაო. მაგრამ ასე არ მოხდა, თავისი რომ გაინაღდა, ალექსიმ კოლმეურნეობას ზურგი შეაქცია და საკუთარ ცხვარს მწყემსავს სოფლის საძოვარზე.

ბევრჯერ ვესაუბრეთ ა. მთიულიშვილს, მაგრამ არაფერი გამოვიდა, ის კვლავ გაურბის საზოგადოებრივ შრომას, თავისთვის კი მუშაობს და სრულიადაც არ აწუხებს ის, რომ სასელს უტეხს მეზობლებს, ოჯახის წევრებს და მთელ სოფელს.

მინდა ვისარგებლო „შოლტით“ და ალექსი საჯაროდ შევარცხვინო — შენ კაი კაცო! სინდისიც კარგი საქონელია, შენს ცხვრებს ენა რომ ჰქონდეთ, ისინიც საყვედურს გეტყოდნენ სოფლის ამაგის დავიწყებისათვის.

იქნებ ამან გაჭრას!

ვ. ჩუტიაშვილი,
სოფელ ბაზალეთის (დუშეთის რაიონი) კოლმეურნეობის პარტიბიუროს მდივანი.

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

„ჰამლეტი კომედიას თამაშობს“

ამ სათაურით ჩვენს გაზეთში გამოქვეყნდა კრიტიკული წერილი, რომელშიც მხილებული იყო მოქ. ჰ. ჩუბინიძე ალიმენტის გადაუხდელობისათვის და სხვ.

წერილთან დაკავშირებით საქართველოს სსრ უმაღლესი სასამართლოს თავმჯდომარე ვ. მაისურაძე რედაქციას ატყობინებს: წერილში აღნიშნული ფაქტები შემოწმებით **დადასტურდა.** ქ. გორის სახალხო სასამართლოს აღმასრულებელს ვ. სასვალაძეს, რომელმაც ვერ შეძლო გადაეხდევინებინა ჰ. ჩუბინიძისათვის ბავშვის კუთვნილი ალიმენტი, გამოეცხადა საყვედური.

სევყვა იქცევა წვიმად...

ბრძოლა ზემოქმედება ამინდზე

ღრუბლებთან

ლაპარაკობენ სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების საკითხებზე თბილისში გამართული სრულიად საკავშირო სამეცნიერო თათბირის მონაწილენი

დეკემბრის პირველ რიცხვებში თბილისში მიმდინარეობდა სრულიად საკავშირო სამეცნიერო ექსკურსიანი თათბირი სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების საკითხების შესახებ. სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებათა შესამუშავებლად მუშაობს ჩვენი ქვეყნის ბევრი სამეცნიერო-საკვლევი დაწესებულება. სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლისათვის დიდი მუშაობა წარმოებს საქართველოში. მეცნიერები ცდილობენ გარდაქმნან გამანადგურებელი სეტყვა მადლიან წვიმად.

ამ საკითხში, რომელიც საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-საკვლევ სამუშაოთა საკოორდინაციო სახელმწიფო კომიტეტის მეტეოროლოგიურ პროცესებზე აქტიური ზემოქმედების სექციამ მოაწვიეს, მონაწილეობდნენ თვალსაჩინო მეცნიერები.

თათბირს მიესალმა მეტეოროლოგთა მსოფლიო ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბ. �ეტსი.

თათბირის სხდომებზე მოსმენილ იქნა გეოგრაფიის მეცნიერებათა დოქტორის ვ. გიგინეიშვილის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ნ. შიშკინის, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატის ტ. ხარჩლავის, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაღალი მთის გეოფიზიკის ინსტიტუტის თანამშრომლის ნ. გრუშკოვის, ფიზიკა-მათემატიკის მეცნიერებათა დოქტორის ს. გუნიას და სხვა მეცნიერ მუშაკთა მოხსენებები.

ქვემოთ მოგაყვეს თათბირის მონაწილე მეცნიერთა მიერ გამოთქმული აზრები სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ბ. სულაქველიძე,
პროფესორი, სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მაღალი მთის გეოფიზიკის ინსტიტუტის დირექტორი.

ჩვენი ინსტიტუტი საბჭოთა კავშირის სხვა სამეცნიერო დაწესებულებებთან თანამშრომლობით სწავლობს მეტეოროლოგიურ პროცესებს, რომლებიც ღრუბლებში მიმდინარეობს და წარმოშობს სეტყვას.

აღმავალი ნაკადების სტრუქტურის, ღრუბლების მიკროსტრუქტურებისა და სხვა იმ პირობების შესწავლის საფუძველზე, რომლებიც სეტყვის წარმოშობასა და მოსვლას განაპირობებენ, ახალგაზრდა მეცნიერ თანამშრომლითა კოლექტივმა შეძლო დაეზუსტებინა წარმოდგენა ამ პროცესის მექანიზმის შესახებ.

ამრიგად, შეიქმნა საფუძველი სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების მეთოდების შემუშავებისათვის, რათა თავიდან ავიცილოთ მსხვილი სეტყვის მოსვლა. შემუშავებულია სეტყვის კერების აღმოჩენის რადიოლოკაციური მეთოდიკა. ამ მეთოდიკის შემოწმებამ საამედო შედეგები მოგვცა. სეტყვის თავიდან აცილების მიზნით გრძელდება ბოლქვ-ბოლქვად შექუნჭულ მძლავრ ღრუბლებზე ზემოქმედების ცდები.

ა. ქარცივაძე,
საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტის ალაზნის სტაციონარული სეტყვის საწინააღმდეგო ექსპედიციის უფროსი.

ალაზნის ველზე სეტყვის თავიდან აცილებისათვის კონვექციურ ღრუბლებზე ხელოვნური ზემოქმედების მეთოდების შესამუშავებლად საველე კვლევას აწარმოებს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოფიზიკის ინსტიტუტი. ჩვენი ქვეყნის სხვა სამეცნიერო-საკვლევ დაწესებულებებთან ერთად.

შესრულებული ლაბორატორიული კვლევისა და საველე ექსპერიმენტთა დიდი კომპლექსის შედეგების საფუძველზე 1961 წელს აღმოსავლეთ საქართველოში დაიწყო იმ ტერიტორიის საცდელი დაცვა, სადაც ინტენსიურია სეტყვა.

თათბირზე მთელ რიგ მოხსენებებში დაზუსტებულ იქნა შეხედულებანი სეტყვის წარმოქმნისა და მოსვლის მექანიზმის შესახებ, რაც საშუალებას გვაძლევს სრულყოთ სეტყვის პროცესებზე აქტიური ზემოქმედების მეთოდები.

ნ. შიშკინი,
პროფესორი,
ა. ი. ვოეიკოვის სახელობის მთავარი ფიზიკური ობსერვატორიის განყოფილების უფროსი.

ჩვენს თათბირს ესწრებოდა მოსკოვის, ლენინგრადის, თბილისის, ნალჩიკისა და სხვა სამეცნიერო ცენტრების ასზე მეტი მეცნიერი. თათბირმა მოისმინა ოთხმოცამდე მოხსენება, მიძღვნილი სეტყვის წარმოქმნის მოვლენათა შესწავლისადმი, მისი პროგნოზისადმი, სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის საშუალებებისა და მეთოდების შემუშავებისადმი.

ალაზნის ველსა და სხვა რაიონებში სეტყვის თავიდან აცილებისათვის ფართო ბუნებრივი ცდების წინასწარი შედეგები საშუალებას გვაძლევს იმედი ვიქონიოთ, რომ უკვე უახლოეს წლებში გამოინახება ის საშიში მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტიანი მეთოდები, რომელიც დიდ ზარალს აყენებს საქართველოს, სომხეთის, ტაჯიკეთისა და სხვა რესპუბლიკების სოფლის მეურნეობას.

ვ. ურუშაძე,
საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს სამეცნიერო-კვლევით სამუშაოთა კოორდინაციის სახელმწიფო კომიტეტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე.

ქართველი მეცნიერებისათვის თათბირს განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ძირითად პრაქტიკულ მუშაობას სეტყვის ღრუბლებზე ზემოქმედებასთან დაკავშირებული პრობლემების გადასაჭრელად და სეტყვის წინააღმდეგ ბრძოლის მეთოდიკისა და ეფექტიანი საშუალებების შესამუშავებლად ჩვენი რესპუბლიკის გეოფიზიკოსები და მეტეოროლოგები აწარმოებენ მოსკოვის, ლენინგრადის, ნალჩიკისა და ჩვენი ქვეყნის სხვა სამეცნიერო ცენტრების სპეციალისტებთან თანამგრძნობრობით.

უნდა აღინიშნოს, რომ თათბირმა დადებითი შეფასება მისცა გაწეულ მუშაობას, უჩრია საცდელად დაინერგოს მეცნიერთა მიღწევები, გადაჭარბებით არ უნდა შევაფასოთ მიღწეული შედეგები, მაგრამ ის ფაქტი, რომ 1963 წელს ალაზნის ველზე სეტყვისაგან საცდელი წესით დაცული იქნება უკვე 100 ათას ჰექტარზე მეტი ფართობი, საფუძველს გვაძლევს ვთქვათ, რომ ჩვენ სწორ გზაზე ვართ და ბუნებაზე ზემოქმედების პრობლემის გადაჭრა სავსებით რეალურია.

კომუნისტი
№ 2 ბეჭდი, ოთხშაბათი,
12 დეკემბერი, 1962 წ.

„მე ყოველთვის გამოვთქვამდი, გამოვთქვამ ახლაც და მომავალშიც სურვილს, რომ ჩვენ ნაკლებად გაგვიტაცოს პოლიტიკამ და უფრო მეტად — მეურნეობამ“.

ვ. ი. ლენინი.

ბუნების საღარაჯოზე

სატეო მეურნეობის დირექტორმა ალექსი ყორიაული დილაადრიანად გამოიძახა.

— ვიფიქრე, ვაი თუ ტყეში გამასწროს-მეთქი, იმიტომაც დაგიბარე უთენია. თეთრი წყაროს რაიონიდან გვთხოვენ სამი ათას ძირ პანტის ნერგს, დღესვე უნდა ამოალებინო და შეაფუთვინო. —დინჯად ეუბნებოდა გენადი გიორგაძე და მუხასავით მხრებაყრილ კაუკაცს იმედის თვალით შეპყურებდა.

— თორმეტი ათას ხუთასი ნერგი უკვე გავუგზავნე, ნუთუ მეტი სჭირდებათ?

— ალბათ სჭირდებათ. თანაც ეტყობა ნერგი მოეწონათ.

— სადამომდე ყველაფერს გავაკეთებ, — თქვა ალექსიმ და კარს სწრაფად მიეფარა. გაახარა დირექტორი მეტყველ ინჟინრის სიცოცხლით სავსე მოძრაობამ, ფოლადივით აყელერებულმა ხმამ, თვალწინ წარმოუდგა თავისი განვლილი გზა.

...19 წლისა იყო ალექსი ყორიაული, თოფი რომ ხელთ აიღო და სამშობლოს დასაცავად ცეცხლის რკალში ჩადგა. ოთხ წელიწადში გაიარა გზა კაკასიონის მთავარქანდლებიდან ჩეხოსლოვაკიის მიწამდე. სხეული ტყვიებმა და უყმბარის ნამსხვრევებმა დაუსერა, გული კი მტრის ჯავრმა...

გათავდა ომი,.. მამაკი მზვერავი მტერზე ჯავრამოყრილი დაუბრუნდა ოჯახს ჯილდოებით მკერდდამშვენებული, ჯანმრთელი, დავაკაცებული.

მერე ინსტიტუტი... სახარულის დღეები... სწავლის დამთავრება და კვლავ მშობლიური მხარე...

ალექსი ყორიაული 1957 წლიდან თიანეთის სატყეოს უფროსად მუშაობს, ერგბშეუხარელად დგას მთებში, ბუნების სადარაჯოზე...

ქუსლოს ველზე გაშლილ სანერგეში თავს იწონებენ პანტის, მაყალოსა და ფიჭვის აქორჩილი ყლორტები. მეტყველები სწრაფად ალეგენ ნერგებს, ერთმანეთს ეჯიბრებიან დავალების შესრულებაში.

ყორიაული სიყვარულით გასცქერის ხაწირის მაღლობს, სადაც ივრის ტალღებივით ირწევა ჩამოქანცული ფიჭვის ტევრი. ეს ტყე-პარკი ხომ ადამიანის მარჯვენამ შექმნა, შიშველი მიწა მიმზიდველი და მოსახიბლავი გახდა. და განა მარტო აქ! ფიჭვის ტყემ დაფარა კოხის, სალაფის, ჭურჭელაურების მიდამოები.

თიანეთის სატყეოს მუშაკები ტყეს საკუთარი სანერგეების ხარჯზე აშენებენ. საუკეთესოდ ხარობს ადგილზე გამოყვანილი ნერგი, წლითიწლობით იზრდება ხელოვნური ტყის ფართობი. მარტო შარშან და წელს ვერხვი, ფიჭვი და ტირიფი 17 ჰექტარზე გაშენდა, ერთ-ნახევარ ჰექტარზეა პანტა.

მეტყევეები გულმოდგინედ უვლიან ნარგავებს, რწყავენ, სისტემატურად უფხვიერებენ მიწას, აჩქარებენ მათს ზრდა-განვითარებას. და ალექსიც ტკბება ამ ფრთაშეუხსმული შრომის ნაყოფით, ტყის სიმდერით.

დღე შრომაში მიიწურა. ალექსი ყორიაულმა გადათვალა შეფუთული ნერგები და მეტყევე ტექნიკოსს ლუხუმ გონჯილაშვილს მიმართა:

—ესი ცალი აკლია, ისიც დაუმატე და ერთ ადგილას შეაგროვე. მე ტყეს მივსედავ.

ჩქარი ნაბიჯით მიჰყვებოდა ვიწრო ბილიკს. ფოთოლშემოძარცული ტყე სევდანარევ ფიქრს უძლიერებდა. ხმელ ტოტებს ლაჟვარდფერი გაჭკონდა ფეხქვეშ. ბორბალოს მთიდან მონაბერი ნიავი თავისუფლად ფთთარეშობდა შიშველ ფიჭვლებს შორის. ზამთრის თეთრი ნაბადი ეფარა ტანგასუქებულ ნაძვებს, ალექსის უკვირდა, თოვლმა რომ ასე დაიგვიანა, წელს ცუდმა ამინდმა რატომდაც ვერ მოიკიდა ფეხი ივრის ჭალებზე. თუმცა ეს უფრო ცუდია, გულქვა ადამიანები თავისუფლად დაძარწიან, ხე-ტყეს უსინდისოდ იპარავენ. შენ კაცი თქვი ითრომ ასე რატომ უნდა ხდებოდეს, ნებართვა აიღე, შეიაც მოიტანე და საშენი მერქანიც. მათ კი ასე არ უნდათ, ძალადობაში სიამოვნებას ეძებნიან, უწყალოდ ეკლეკავან ხალხის სიმდიდრეს. არა, ისეთი კაცი არ უნდა შეიბრალო, როშელიც სიცოცხლისა და სილამაზის დედას — ტყეს არ უფრთხილდება...

ფიქრში გართულმა ყორიაულმა ტყის სიღრმეს მიაღწია, თხილას ხეებ გადახედა. შეკრთა, კალოსხელა ფართობი შომწყლეულიყო და ახალგაზრდა ხეებთან ერთად ხევისაკენ დაქანებულიყო. ხეების პირას მდგარ წიფლის შეეკავებინა იგი, ახალგაზრდა ნერგები ვეება ხეზე იმტვრევდნენ მკლავებს.

ალექსი სწრაფად დაეშვა ციცაბოზე. ნერგებს წიფლის ტოტებიდან გაუთავისუფლა ნორჩი რტოები, გაუსწორა ტანი და მიწის ნაგლიჯს გარშემო შემოოარა. მის მკერდზე რცხილას ძირი შეამჩნია, რომელიც მოჭრის შემდეგ გამმბარიყო. გულმოდგინედ გასინჯა კუნძი, დამღას ნიშანი არ ეტყობოდა. მისი სიცოცხლე თვითნებურად მოესპო ვიღაცას. აი ამ დანაშაულს შედეგიც: ხელემა ფესვებმა მიწა ვეღარ შეიკავეს, ახალგაზრდა ხეების სიცოცხლე საფრთხეში ჩავარდა...

მეტყევემ ერთხელ კიდევ შეათვალიერა ტანმსხვილი წიფელი და სახე გაუბზინა. ეცვი არ იყო, რომ გოლიათი ხე სიკვდილისაგან იხსნიდა ნერგებს. მერე კი მაბაც გაუმაგრდებოდა ფესვი...

გზა განაგრძო ყორიაულმა, ლელვნარსაკენ აიღო გეზი. მიჰყვებოდა ხშირ ტყეში თოკივით გაკეთებულ ბილიკს და ბუნების სიყვარული გულში მზის ხხივებივით ეღვრებოდა. მზე კი ზორს ფუძნარის ყელზე ჩამომჯდარიყო და ღიმილით ემზვიდობებოდა ივრის ხეობას.

უცვიმ რაღაცა მკვეთრი ხმაური ჩაესმა ალექსის, მარცხნივ მიიხედა, რეხი მგელი ფერდობს ძუნძულით ჩაეცავდა. სწრაფად წაიღო ხელი მხრისაკენ, თოფის გადმოღება უნდოდა, მარჯვენა მაერში გაუშვიდა... არ ჭმონდა თან საყვარელი „ტულა".

ცოტა მანძილი ჰქონდა გავლილი, რომ ხმაური ისევ განმეორდა, ხეებს შორის ნაცნობი სახე დალანდა. მისკენ გაეშურა. ხარბად დააცქერდა ელვარე თოფს. სანანული აღმოხდა:

— აფსუს, ათი წუთის წინ მაინც შემხვედროდი. მგელმა ცხვირწინ გამირბინა.

— თოფი რატომ არა გაქვს?

— პირდაპირ სანერგიდან მოვდივარ. იქ კი რათ მინდოდა თოფი!

— ხომ მშვიდობაა?

— ახალი არაფერია. გარდა იმისა, რომ მეზობელი რაიონები პანტის ნერგებს გვთხოვენ და ჩვენც სიამოვნებით კუგზავნით.

— ტყეში რაღათ წამოსულხარ?

—გულმა არ მომითმინა. ვიფიქრე, თვალს გადავავლებ წიფლნარს, პანტიასა და თხილიანს მოვინახულებ.

— აბა როგორ მოგითმენს გული, როცა ჩვენს ტყეებში ორფეხა მგლებიც ბლომად დაიხეტეტიან. — უთხრა ივანე ძებნიაურმა და თვალი შუათაგორისაკენ გაიქცა.

—ახალს მე მეკითხებოდი და ეტყობა შენ გცოდნია. მითხარი, რა გაწუხებს.

— აქვე ახლოს ოთხი ძირი დგნალია ჩოკრილი. ორი-სამი დღის ამბავი უნდა იყოს. უბედურება ის არის, რომ მშრალ დედამიწას კვალი არ ეტყობა.

— ნუ გეშინია, ვიპოვნით. დგნალი ღობის მარგილად ენდომებათ, ქურდს თვითონ აღმოაჩენს იგი.

— ყოველდღე ტყეში ვარ. ამ დალოცვილ მიდამოს ზრუნვასა და ყურადღებას არ ვაკლებ, ხეების სიყვარულში დავწურე წლები და უნებართვოდ ჭრას მაინც ვერ გავეკეცევი. არ მინდობენ მრუდე ხელის მქონე არაკაცები.

— შენს პატიოსნებაში ეჭვი არ მეპარება, ჩემო ივანე, გულის ნადებს კი გეტყვი, ღამეც უნდა შეეფეხებოთ თავი, გაკვიროთ ტყის გზებზე, მივაყურადოთ. მართალია, ხუთი ათას ოთხასი ჰექტარის თვითეულ კუნჭულს ვერ მოვინახულებთ, მაგრამ ჩვენი სიფხიზლით ბევრს წავუხდენთ მალას.

— ერთ კაცსე მაქვს ეჭვი, ყებოტელია, რაკი შენც ჩემთანა ხარ, ამალამ შეავიმოწმოთ.

— შევამოწმოთ, უარს როგორ გეტყვი, — ჩვეული სიმტკიცით თქვა ყორიაულმა და ტყისმცველს სოფლისაკენ გაჰყვა.

ალექსის მხარდამხარ მიმავალი ივანე ძებნიაური გულში ლოცავდა მის ვაჟკაცობას. ის ყველასთან მართალი და პრინციპიანია, თავმდაბალი და კეთილი, თანამშრომლებს ერთ სიტყვასაც არ ეტყვის უხეშად, რა ეყვირება, ტანტალი სიტყვით ფაფეთესად აკეთებს საერთო საქმეს. ტყეული ხაშინლად ეჯავრება. ოლონდ სიმართლე უთხარ და თანაგრძნობას გაგიწევს, შენს დარდს, ჭირსა და ლხინს გაიზიარებს. ამიტომაც დიამსაბურა ტყის მცველთა დიდი პატივისცემა და სიყვარული.

ბნელდებოდა, როცა მეტყეველებმა სოკრატ ძებნიაურის ეზოს კარი შეაღეს. მასპინძელი უხალისოდ გამოეგებათ.

— სოკრატ, მოდი, ბევრს ნუ გვალაპარაკებ, გულახდილად გვითხარი. რა უყავი დგნალის ბოძები, თხილას ტყიდან რომ წამოიღე?

— რა ბოძები, რის ბოძები? თავს გეფიცებით, პირველად მესმის.

— ფიცი არა მჯერა, ქურდობა სულ ფიცილისაო, ამბობენ. სჯობს გამოტქდე. — არ ეშვებოდა ალექსი.

— არა, ღმერთი, რჯული, ტყეულად უთქვამს ვიღაცას, ბორტი კაცი არ დაილევა.

ბორტი კაცი რომ არ დაილევა, სწორედ ეს არის იმის მიზეზი, რომ ღღედაღამ ვწვალობთ, თორემ ჩვენც არ გვაწყენს ზამთარში ცეცხლის პირას ჯდომა, — გაბრაზებით თქვა ყორიაულმა, და იქით წავიდა, სადაც შეშა იყო დაწყობილი. კვლავ გაისმა მისი მჭექარე ხმა:

— აკი მეფიცებოდი! გრცხვენოდეს. აი შენი ვაჟკაცობის ნაყოფი, ხელავ ამ ბოძებს?..

სოკრატს ხმა ალარ ამოუღია, აკანკალებული ფანჯარა ამოეფარა ხელი.

ალექსიმ ტყის მცველს გამომშვიდობებისას ასე უთხრა:

— ათას ერთი ... ერი ... ტერ ... ერთი ... ანდაზა ... ტყეზეა ... ზედგაზომილი. რასაც ჩვენ წლობით ვაკეთებთ, უაღლო ადამიანები ერთ ღამეში ანადგურებენ. კიდევ უფრო მეტად გაამახვილე თვალი და ყური, ჩვენი ვალია — დავიცვათ ივრის ხეობის სიმდიდრე და მშვენება. თიანეთის სატყეომ სხვა სატყეო უბნებს პირველობა არ უნდა დაუთმოს ტყის დაცვისა და გაშენების საქმეში.

იმ ღამეს ალექსი ყორიაული დიდხანს იჯდა სამუშაო ოთახში, ამზადებდა საჭირო საბუთებს სოკრატ ძებნიაურის დასაშაულზე, რომ საქმე მეორე დღეს სახალხო სასამართლოსათვის გადაეგზავნა. შინ წასვლისას ერთხელ კიდევ შეავლო თვალი კედელზე აფრიალებულ საქართველოს მინისტრთა საბჭოსა და პროფსაბჭოს გარდამავალ წითელ დროშას, რომელსაც თიანეთის სატყეო მეურნეობის კოლექტივი მტკიცედ ფლობს, და თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ისე უნდა ვიმუშაოთ, რომ ეს მაღალი ჯილდო მომაკლდეს შეკინაარჩუნოთ.

ბ. ბიგბაური.
თიანეთის რაიონი.

* * *

სურათზე: ა. ყორიაული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეშობლიური გული

ლამის 11 საათია, ციცა, აქა-იქ თუ ჩაიელის დაგვიანებული მგზავრი. ქუჩების შორიგი შემოელდან ბრუნდებოდნენ კალნინის რაიმილიციის გახყოფილების ბავშვთა ოთახის უფროსი ინსპექტორი ასია სარქისოვა და ინსპექტორის თანაშემწე მადონა გაფრინდაშვილი. მათ შეამჩნიეს, რომ ერთი სუტი აგებულების ბავშვი უმწეოდ, შეშინებული მიკუნტულიყო არსენას ქუჩაზე სახლის კუთხეში.

— რა გინდა, ბიჭიკო, აქ ამ დროს? რატომ ხარ მარტო? — ეკითხებიან ბიჭუნას. იგი პასუხს არ იღლავა, გაქცევას ცდილობს, მაგრამ მას ხელი ჩაჰკიდეს და შეაჩერეს. ა. სარქისოვა და ნ. გაფრინდაშვილი არ მოშორდნენ ბავშვს და ათქმევინეს ვინ იყო და საიდ ცხოვრობდა.

გოგი ჯიმკრიანი ა. ჭავჭავაძის ქუჩაზე № 8 სახლში ცხოვრობს. მაშინ იგი 48-ე საშუალო სკოლის მეხუთე კლასის მოსწავლე იყო. გამოირკვა, რომ დაკავშირებოდა ცუდი ყოფაქცევის ამხანაგებს, სკოლაში აღარ დადიოდა, ღამეებსაც ქუჩაში ათევდა. ამიტომ მეორედ დარჩენილიყო V კლასში, ყოველგვარი ზომები მიეღოთ პედაგოგებს, პიონერხელმძღვანელს, მაგრამ ამაოდ. მაშინ ოჯახშიც არ ჰქონდათ კარგი მდგომარეობა, დედ-მამას შორის უკმაყოფილება ჩამოვარდნილა, ბიჭი ამიტომ გაგარეულებულიყო.

— მორჩა, წაიდა ეს ბავშვი ხელიდან, —სინანულით თქვეს სკოლაში და ხელი ჩაიქნიეს.

მაგრამ იყო ერთი ადამიანი, რომელსაც არ დაუკარგავს გოგის კეთილი ბედი. ეს გახლდათ ბავშვთა ოთახის უფროსი ინსპექტორი ა. სარქისოვა. მან გამოარკვია, რომ გოგის არასოდეს არ უქურდნია, შიმშილით რომ მომკვდარიყო. სხვის ნივთს ხელს არ ახლებდა. აი სწორედ ამ პატიოსნების მარცვალში ხედავდა იგი ბიჭის გაფუსწორების გზას. დაიწყო დიდი ჭიდილი კეთილსა და ბოროტს შორის. ა. სარქისოვა დაუკავშირდა გოგის ოჯახს, მიაღწია იმას, რომ ბიჭი სკოლაში დაიბრუნა, მაგრამ იგი კვლავ გაიქცა სკოლიდან. ხან ავტობუსს და ხან ტროლეიბუსს აედევნებოდა, ანავის არ უსმენდა, ბოლოს და ბოლოს პედაგოგებმა ხელი ჩაიქნიეს და იგი სკოლიდან გარიცხეს.

დედა ასიას ამანაც ვერ დაუყრევინა ფარმალია. მან მოკავდა ბავშვს ხელი და მუშა ახალგაზრდობის მე-13 საშუალო სკოლაში მიიყვანა, რომელიც იქვე ახლოა ბავშვთა ოთახთან. ამავე დროს ა. სარქისოვამ იზრუნა, რომ ბიჭს ქარხანაში ზეინლად დაეწყო მუშაობა, თითქმის ყოველდღე გოგისთან დადიოდა სკოლაში. მემდეგ ოთახში მოკავყავდა და მანამდე არ გაუშვებდა, სანამ გაკვეთილებს კარგად არ დაასწავლიდა. ატყობდა, ბავშვი მეტად ნიჭიერი იყო, კარგად ეხერხებოდა ხატვა, დიდ მიდრეკილებას იჩენდა მუსიკისადმი.

და აი გოგის დღიურში გაჩნდა პირველი ხუთიანები ისტორიასა და გეოგრაფიაში. ბიჭი სიხარულისგან ფეხზე ალარ იდგა, სულმოფოქმელად გაიქცა ბავშვთა ოთახში და დედა ასიას ახარა... ბავშვი თანდათან ჩამოსცილდა ცუდ წრეს, სერიოზული, თავაზიანი, უფროსების დამკერი გახდა.

— ამ პროცესმა მთელ სამ წელს გასტანა, — იგონებს ა. სარქისოვა, — და მადლობელი ვარ გოგის მშობლებისაც, კერძოდ მამის, ილიასი, რომელიც ჩვენთან ერთად ყველაფერს აკეთებდა შვილის კეთილ გზაზე დაყენებისათვის.

ახლა გოგი VIII კლასის მოსწავლეა. მორცხვად, თავდახრილი გვიყვება თავის თავგადასავალს. რა ვიცი, რა იქნებოდა ჩემს თავს, რომ მეორე დედა—ასია დედა არ მყოლოდაო.

ფ. ფარაჯეი ობლად, უდედმამოდ იზრდებოდა. იგი ცუდად სწავლობდა, ჯიუტობდა, სკოლაში არ დადიოდა, სახლშიც გვიან ბრუნდებოდა, მთელ დღე ქუჩაში დაყიალობდა ცუდი ყოფაქცევის ბიჭებთან. ახლა კი იგი ყოველდღიური ზედამხედველობის ქვეშ არის, ბავშვთა ოთახის თანამშრომლები სისტემატურად დადიან მასთან, აუყვანეს მეურვედღეს ვეღარ იცნობთ ამ ბავშვს, ნაკლებად გადის ქუჩაში, გულმოდგინედ ამზადებს კაკეთილებს, ბევრს კითხულობს კლასგარეშე ლიტერატურას.

...და ვინ მოთელის, კიდევ რამდენი ბავშვი გამოუსწორებია ასია დეიდას თავისი 30 წლის მოღვაწეობის მანძილზე. ა. სარქისოვასთან ერთად ბავშვთა აღზრდის საქმეს ერთგულად ემსახურებიან მისი კოლეგები და თანამშრომლები ბ. ბეგლარიანი, ნ. ბიგულაევა და ნ. ალაშაკინა. დიახ, ვინ მოთვლის, რამდენ გზასაცდენილ ბავშვს დაბრუნებია ბეჯნიერი ბავშვობა, რამდენი მათგანი ახლა სასახელო ადამიანია. ბევრის, ბევრის დასახელება შეიძლება, მაგრამ... ახლა ამათი დასახელება უხერხული იქნება, არ ესიამოვნებათ იმის გახსენება, რაც პატარობაში ემარცხოდათ.

საბავშვო ოთახთან შექმნილია მშობელთა საბჭო, რომელსაც გამოცდილი პედაგოგი, პენსიონერი მარიამ პაატოვა ხელმძღვანეობს. იგი 1921 წლიდან დღემდე მუშაობს უზედამხედველო და ობოლ ბავშვებთან. კომიტეტში ისეთი ხალხია გაერთიანებული, რომლებსაც უყვართ ბავშვები, სურვილი აქვთ იმტკიცონ პატარებთან. ოთახთან მჭიდრო კავშირი აქვთ რაიონის სკოლებს, მშობლებს, აქტივს, და მათი ერთობლივი მოქმედებით სისტემატურად ეწყობა საუბრები მოსახლეობაში, სკოლებში, დაწესებულებებში, ეზოებში, სადაც ჩამოყალიბებულია მშობელთა კომიტეტები. ახლა ასეთი 60-ზე მეტი მშობელთა კომიტეტი მუშაობს რაიონში.

საუკეთესოდ მუშაობს ტუნაჩარსკის ქ. № 2 სახლის ეზოს მშობელთა კომიტეტი, რომელსაც ხელმძღვანელობს მშობელი ნ. შიშკანოვა. ამ ეზოში, სადაც ორასამდე ბავშვია, ქუჩიდან საეჭვო ელემენტები ახალგაზრდები იყრიდნენ თავს, ხულიგნობდნენ, აზარტულ თამაშს ეწეოდნენ. ახლა მშობელთა კომიტეტის მეშვეობით სრულიად აღიკვეთა ასეთი უწესრიგობა, შეექმნა პიონერული რაზმები, ბავშვები მართავენ თემატურ საღამოებს, დღესასწაულებს თვითმოქმედების კონცერტებით ხვდებიან, აწყობენ კარნავალებს, თვით ბავშვებიც მონაწილეობენ მშობელთა კომიტეტების მუშაობაში.

ბავშვთა ოთახთან 1949 წლიდან შექმნილია აკადემიური კლასი, რომელშიც ახლა გაერთიანებულია 20-მდე ბავშვი, ისინი, რომლებიც ცოდნების განმავლობაში არსად არ სწავლობდნენ, კლასს I-IV კლასების პროგრამის ფარგლებში ამეცადინებს პედაგოგი ფ. ბერიძე. ამ კლასიდან ბევრი ამბარებს გამოცდებს მეხუთე კლასში და სწავლას აგრძელებს. — ძნელად აღსაზრდელ ბავშვებთან მეცადინეობა ძალიან რთულია, — ამბობს პედაგოგი ფ. ბერიძე. — ზოგჯერ პირდაპირ ანბანიდან გვახდება სწავლის დაწყება.

— ყველა ძნელად აღსაზრდელი ბავშვი გამოასწორეთ? — ვეკითხებით უფროსი ინსპექტორის თანაშემწეს მ. გაფრინდაშვილს.

— არა, იშვიათად, მაგრამ მაინც გვხვდებიან ბავშვები, რომელთა აღზრდა და გამოსწორება ჩვენს ძალას აღემატება. ასეთებს გულისტკივილით ვგზავნით ბავშვთა შრომა-აღზრდის კოლონიაში. სამწუხაროდ, ასეთთა რიცხვს ეკუთვნის ნოდარ ხნანავი. რომელმაც ადრე ასაკში დაიწყო ქურდობა. ახლა იგი კოლონიაში იზრდება.

— ხომ შეიძლება, რომ გამოგრჩეთ, და ძნელად აღსაზრდელი ყველა ბავშვი არ მოხვდეს თქვენთან?

— არა, ეს არ შეიძლება, — ენერგიულად გეესიტყვება მ. გაფრინდაშვილი, — არ შეიძლება ყველას — სკოლას, ეზოს კომიტეტს, მშობელთა საბჭოს, მილიციას, ბავშვთა ოთახს გამორჩეს ბავშვი მხედველობიდან. ჩვენ ხომ ვმორიგეობთ კინოთეატრებთანაც. ეს არ მოხდება. ზოგჯერ უცნობი მოქალაქეებიც კი გვაფრთხილებენ ამაზე. და აი როცა ჩვენთან ასეთი ბავშვები ხვდებიან, უწინარეს ყოვლისა მუშაობას ვიწყებთ მათი საყოფაცხოვრებო პირობების შესწავლით. როცა ოჯახში დედ-მამის ურთიერთობა არ არის კარგი, ეს ხშირად ძალიან მოქმედებს პატარებზე. არ შეიძლება ყველა ბავშვს ერთნაირად მოეკეკცეთ, ძალიან საფრთხილო და სათუთია ბავშვის გული, იგი არ უნდა გატყდეს, ორომ წლები სჭირდება მის გამთელებას.

და ბევრს საინტერესოს გვიყვებიან ბავშვთა ოთახის თანამშრომლები, ეტყობა, უყვართ თავიანთი საქმე, სიყვარულით, სათუთად იხსენიებენ ყველა მათ, ვინც კეთილ გზას დაადგა. ბავშვთა ოთახს ყოველთვის აქვს საზრუნავი, იგი ღიაა ადრე დილიდან გვიან ღამემდე. მორიგეობენ პედაგოგები, მშობლები, აქტივი. ამიტომ არის, რომ წესრიგის დარღვევის არცერთი შემთხვევა არ ეპარებათ.

ისაა იყო დამთავრდა საუბარი ბავშვთა ოთახის თანამშრომლებთან, რომ ოთახში სანდომიანი სახის ქალი შემოვიდა, იგი 42-ე საშუალო სკოლის მასწავლებელი ქ. სიხარულაძე აღმოჩნდა. მან დიდი გულისტკივილით თქვა, რომ მისი ყოფილი მოსწავლე მეორეკლასელი თამაზ შერმადინი მეხუთე სკოლა-ინტერნატიდან გამოპარულა და დღედაღამ თურმე ქუჩაშია. აი კიდევ ახალი საზრუნავი გაუჩნდა ბავშვთა ოთახს — ბავშვს უპატრონდა ხომ არ დატოვებენ. მან იცოან, რომ თამაზს დედინაცვალი ჰყავს, რომელიც მას არავითარ ყურადღებას არ აქცევს, მამა დედინაცვალზე უარესია, ბეგია და მამიდა კი არავითარ ვალდებულებას არ კისრულობენ, არ ზრუნავენ. დედამ ადრე მიატოვა თამაზი და გათხოვდა, მაგრამ თამაზს არ მიატოვებენ სკოლა და ის გულსხმიერი ადამიანები, რომლებიც ასე ზრუნავენ პატარების აღზრდისათვის. იმედია თამაზსაც დაუბრუნდება ბედნიერი ბავშვობა.

ე. მამალაძე.

* * *

სურათზე: *კალინინის რაიონული მილიციის ბავშვთა ოთახის ინსპექტორი მ. გაფრინდაშვილი (მარჯვნივ) ესაუბრება გ. ჯიშკარიანს.*

ფოტო **შ. ჩხეტიანისა.**

დიდმნიშვნელოვანი მოვლენა

პარიზი, 10 დეკემბერი. (საკდესი). „კრემლში მუშაობა დაიწყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიამ" — ასეთი სიტყვებით იწყებდა დღეს უკანასკნელი ცნობების ბევრი გამოშვება, რომლებსაც საფრანგეთის რადიოსადგურები გადასცემენ. სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობისადმი დიდ ინტერესს მოწმობს ის ფაქტიც, რომ პარიზის ბევრმა გაზეთმა თვალსაჩინო ადგილას მთათავსა ცნობა საბჭოთა ქვეყნის ცხოვრების ამ დიდმნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ.

ფრანს პრესის საგენტომ ცნობათა სერია გამოაქვეყნა უმაღლესი საბჭოს სესიის გახსნის შესახებ.

ვიენა, 10 დეკემბერი. (საკდესი). იაპონიის პრესა დიდ ინტერესს იჩენს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიისადმი, რომელიც დღეს მოსკოვში გაიხსნა. დედაქალაქის გაზეთები დაწვრილებით ბეჭდავენ სესიის დღის წესრიგს და აღნიშნავენ მის კავშირს სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმზე განხილულ საკითხებთან.

გაზეთ „მაინიჩი" მოსკოველი კორესპონდენტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ უმაღლესი საბჭოს ამ სესიის მუშაობა მიეძღვნება სკკპ ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის გადაწყვეტილებათა კონკრეტიზაციას, რომელთა მიზანია საბჭოთა ეკონომიკის სწრაფი აღმავლობა.

ეთენი, 11 დეკემბერი. (საკდესი). ათენის გაზეთები დიდ ყურადღებას უთმობენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს სესიას. ეს, წერს გაზეთი „ალგი", პირველი სესიაა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შემდეგ, რომელმაც მიიღო უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებანი საბჭოთა ეკონომიკის ახალი აღმავლობის უზრუნველყოფისა და კომუნისტურ მშენებლობაში ახალ წარმატებათა მიღწევისათვის. 1963 წლის განვითარების გეგმა ითვალისწინებს სახალხო მეურნეობის ყველა დარგის შემდგომ განვითარებასა და საბჭოთა ხალხის ცხოვრების დონის ამაღლებას.

მეგობრობა, ურთიერთგაგება

ამა წლის 27-დან 29 ნოემბრამდე ვარშავაში მიმდინარეობდა ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს მეცნიერული და ტექნიკური კვლევის საკოორდინაციო მუდმივ კომისიასთან არსებული მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის გაცვლის მომწყობი სამუშაო ჯგუფის თათბირი.

თათბირში მონაწილეობა მიიღეს ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს წევრი ქვეყნების — ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, პოლონეთის სახალხო რესპუბლიკის, რუმინეთის სახალხო რესპუბლიკის, საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის სოციალისტური რესპუბლიკის წარმომადგენლებმა.

თათბირმა მეგობრულ ვითარებასა და სრული ურთიერთგაგების ატმოსფეროში ჩაიარა.

გულწრფელი დახმარება

ჰავანა, 9 დეკემბერი. (საკდესი). „ეფექტიანი დახმარება" — ასეთი სათაურით გამოაქვეყნა დღეს გაზეთმა „მუნდომ" მორწმუნე სტატია დახმარების შესახებ, რასაც საბჭოთა მეგადფური უწევენ კუბას მოსახლეობის თვეზით მოლაპარაკებაში. გაზეთი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საბჭოთა ადამიანებმა, ჰუმანიზმისა და სოლიდარობის პრინციპების საფუძველზე აღზრდილებმა, კუბელთა დიდი პატივისცემა მოიპოვეს. ისინი გულწრფელად ეხმარებიან კუბელ ხალხს.

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი. (საკდესი). ბრუნეიში გრძელდება ბრძოლები აჯანყებულებსა და ინგლისის ჯარებს შორის. აჯანყებულთა ჯალვა ხელეთ უპყრიათ ქალაქი სერია, კომპანია „შელის" ნავთობსაწარეში. როგორც ამერიკის საინფორმაციო სააგენტოები იუწყებიან, აჯანყებულებმა ხელთ იგდეს სარაკიკის, ბორნეოზე ინგლისის მეორე პროტექტორატის მთელი რიგი ქალაქები, მათ შორის სებუტი და ბეკუნი. აჯანყებულებმა გამოაცხადეს, რომ შექმნეს ერთიანი დამოუკიდებელი სახელმწიფო ჩრდილოეთი კალიმანტანი.

ნიუ-იორკი, 10 დეკემბერი. (საკდესი). ბორნეოს აჯანყებულთა მეთაურმა ანახარომ განაცხადა დღეს, რომ აჯანყებულები არ დაყრიან იარაღს, სანამ არ მოიპოვებენ ეროვნულ დამოუკიდებლობას. ეს განცხადება ანახარომ გაკეთა მანილაში, სადაც ამჟამად იმყოფება. მან თქვა, მალე დაებრუნდები ბორნეოში, რათა აჯანყებულთა მოქმედებას პირადად ეუხელმძღვანელოთ.

ლონდონი, 11 დეკემბერი. (საკდესი). გუშინ საადმირალომ გამოაცხადა, რომ ინგლისის სამხედრო-საზღვაო ძალების კიდევ 8 ხომალდი, მათ შორის კრეისერი „ტაიგერი", მიემართება ინგლისის პროტექტორატ ბრუნეის ნაპირებისაკენ, რომელიც კუნძულ ბორნეოზე, ჩრდილოეთ კალიმანტანში მდებარეობს, სადაც 8 დეკემბრიდან გრძელდება მოსახლეობის აჯანყება ინგლისის კოლონიური ბატონობის წინააღმდეგ.

ადრე გაგზავნილი საესკადრო ნაღმოსანი „კეველირი" და ნაღმოს ტრალერები „ფისკარტონი" და „ჩაუტონი" უკვე მიუახლოვდნენ კუნძულ ლაბუანს, რომელიც ბრუნეის დედაქალაქის მახლობლადაა.

ნერუს განცხადება პარლამენტში

დელი, 10 დეკემბერი. (საკდესი). ინდოეთის პრემიერ-მინისტრმა ნერუმ დღეს პარლამენტის სახალხო პალატაში გაბნინა კამათი ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობის წინადადების შესახებ, რომ შეწყდეს ცეცხლი და ჩინეთის ჯარები დაუშორონ ინდოეთ-ჩინეთის საზღვრის მთელ ხაზს. კამათის დაწყებისას ნერუ შეეხო ნეიტრალური ქვეყნების კოლომბოს კონფერენციას, რომელიც მოწვეულია ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო კონფლიქტის მშვიდობიანი მოწესრიგებისათვის ხელის შეწყობის მიზნით.

ნერუ კვლავ დაწვრილებით შეეხო ინდოეთ-ჩინეთის სასაზღვრო უთანხმოების ისტორიას და მოვლენათა განვითარებას უკანასკნელ თვეებში. მან გააცნო პარლამენტს მემორანდუმი, რომელიც ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ინდოეთის პეკინის საელჩოს გადასცა 9 დეკემბერს.

ნერუმ პასუხი გასცა პირველ კითხვაზე, რომელიც დასმული ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს ამ მემორანდუმში და განაცხადა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის მთავრობამ ცალმხრივად მიიღო გადაწყვეტილება ცეცხლის შეწყვეტის შესახებ. ჩვენ ამას დავეთანხმეთ, თქვა ნერუმ, და ჩვენი მხრივ ისეთი არაფერი ჩაგვადენია, რასაც შეეძლო ხელი შეეშალა ამ ნაბიჯის განხორციელებისათვის. მეორე კითხვის გამო ნერუმ განაცხადა, ინდოეთი იმის მომხრეა, რომ ჯარების უკან გადაყვანა მოხდეს ორივე მხარისათვის მისაღებ საერთოდ შეთანხმებულ საფუძველზე და გამოთქვა აზრი, რომ ასეთი შეწყვეტელი შეიძლება იყოს ცეცხლის შეწყვეტა და 1962 წლის 8 სექტემბერს არსებული სტატუს-კვოს აღდგენა. ნერუმ თქვა, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკას მთავრობა არ შეიძლება მიეღოდეს, რომ ინდოეთის მთავრობა დათანხმდება ფაქტიური კონტროლის ხაზზე, რომელიც იყო 1959 წლის 7 ნოემბერს, რადგან ეს ხაზი „ფაქტებს არ შეესაბამება". მან ხაზი ასთხა, რომ მშვიდობიან ატმოსფეროში ინდოეთსა და ჩინეთს შორის ყოველგვარი კონსულტაციის ან მოლაპარაკების პირობა არის ის, რომ ჩინეთის სახალხო რესპუბლიკა დათანხმდეს იმ ხაზზე, რომელიც იყო ამა წლის 8 სექტემბერს, ე. ი. ინდოეთ-ჩინეთის საზღვარზე შეა

ლიტერატურა და ხელოვნება

რასკოლნიკოვი—ფეოდორ უკი

მაყურებლის შენიშვნა

კლასიკური მხატვრული ლიტერატურიდან ნაცნობი გმირის აცეცებ-ზე ნახვა ისევე გაღელვებს და გახარებს ადამიანს, როგორც დიდი ხნის შემდეგ კარგ მეგობართან შეხვედრა. ხმირ შემთხვევაში. როცა მაყურებელი თვალს მოჰკრავს ნაცნობი ნაწარმოების აცეცებზე წარმოსახვის მაუწყებელ აფიშას, თეატრში სწორედ ამ გრძნობას ეიკყავს. ასეა თუ ისე, ჩვენ მიგვიზიდა ფ. დოსტოევსკის საუკეთესო რომანის „დანაშაული და სასჯელის“ ინსცენირებამ გრიბოედოვის სახელობის თეატრში.

ჩვენ არ გავბედავთ ელაპარაკოთ იმის თაობაზე, თუ რა ადგილი უჭირავს ფ. დოსტოევსკის რუსულ კლასიკურ წერილობაში, არ შეგიჩერდებით არც მის ლიტერატურულ სტილზე, ავტორის ეჭვურ განკითხვებსა და წსოფელმხედველობაზე. სანდოდ არ ნიგეაჩნია, რომ ნაწარმოების ინსცენირებისას ბევრი რამ შეიცლება დაიკარგოს...

ჩვენ გვინდა ვილაპარაკოთ ერთ ახალგაზრდა მსახიობზე.

დიდი ყურადღება მიიპყრო გრიბოედოვის სახელობის თეატრის რეპერტუარში რუსული კლასიკური წერლობის დიდი წარმომადგენლის ფ. ფ. დოსტოევსკის „დანაშაული და სასჯელის“ გამოჩენამ.

ფ. ფ. ბოგოლუბოვი — ფეოდორ უკი

ფ. ფ. ბოგოლუბოვი — ეს ბოლო ოცი წლის ბრიგადა. ეს ბრიგადა ბევრ ბრწყინვალე